# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში— 300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. | შაბათი, ოქტომბრის 9. 1920 წ. № 117 | ფასი 10 მანეთი


ევროპიდან ახლად დაბრუნებული ეროვნულ-დემოკრ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი

ფილოსოფიის დოქტორი

## მ-ძე ციცე მარგველაშვილი

წაიკითხავს ლექციას

## სოციალიზმი და ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა

თეზისები: 1) სიმდიდრეთა განაწილების პროცესი, 2) წარმოება და მუშები, 3) წარმოების დაცემა, 4) ევროპის დავალიანება, 5) მუშათა კავშირები, 6) სოციალისტური პოლიტიკა, 7) სოციალიზმის მარცხი, 8) საქართველო და სოციალიზმი, 9) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, 10) ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი).

1. ზესტაფონში კვირას 10 ოქტომბერს
2. ჭიათურაში სამშაბათს 12 ,,
3. სამტრედიაში ოთხშაბათს 13 ,,
4. სენაკში ხუთშაბათს 14 ,,
5. ფოთში პარასკევს 15 ,,
6. ლანჩხუთში კვირას 17 ,,
7. ოზურგეთში სამშაბათს 19 ,,
8. ბათომში ხუთშაბათს 21 ,,

სტუდ. და მოსწავ. კომიტეტი.

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

---

## ეროვნულ-დემოკრატიული
### პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

---

სახელმწიფო თეატრი

### ოპერა

9 ოქტომბერს

ოპერა მუშებისთვის

**სევილიელი დალაქი**

მონაწ, ბოიარსკაია, ოვსიანიკოვა, ჭალიპსკი, ბალაბანი, საბინინი, დემიანენკო, ქურხული, ეზროვი.

10 ოქტომბერს

**რიგოლეტტო**

ოპერის დირექტორი: ხ. ი. ევლახიშვილი

---

## განცხადება.

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

**მომარაგების სამინისტროს,**

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ ,,ცეკავშირისაგან'', რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

**მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია**

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.**
**ბ) სურთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4,500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებულნი არიან გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

**მომარაგების სამინისტრო.**

63. 3—1.

---

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას ,,მწყემსს'', რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1. მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.
2. მეცხვარეს ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.
3. სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

**მომარაგების სამინისტრო.**

---

## ,,ნიჭიერ'' პოლიტიკის შედეგები.

ყველას ახსოვს, როგორის რიხით აღნიშნავდნენ სოციალდ მოკრატები აზერბაიჯანთან ,,დემოკრატიული'' ზავის შეკვრას გასულ ზაფხულში. გამოუცდელი ოპტიმისტები იმასაც ამბობდნენ, რომ დადებულ ზავს დიდათ საკეთილო მნიშვნელობა ექნება ჩვენი რესპუბლიკისათვის და შექმნის საუკეთესო პირობებს მეზობელ ,,სახელმწიფოსთან'' ნორმალ ურთიერთობის დასამყარებლად.

ჩვენ მაშინაც ვგრძნობდით რა ფასისა იქნებოდა ზავი ,,სოციალისტურ'' აზერბეიჯანთან, ვიცოდით, რომ ქუთაისელ ბიჭ-ბუჭისაგან შემდგარი აზერბაიჯანის სამშვიდობო დელეგაცია შეეცდება რაც შეიძლება მეტი გამოსტყუოს ,,ბურჟუაზიულ'' საქართველოს, რომ მოსკოვის მთავრობას ერთ ხელ კიდევ დაუმტკიცონ უზომო ერთგულობა და თავგაწირვა რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის. ჩვენ ისიც გათვალისწინებული გვქონდა' რომ კომუნისტების წარმომადგენელები ზავის პირობებს შეასრულებდნენ იმდენად, რამდენადაც ეს მათთვის სასარგებლო იქნებოდა.

საქართველოს მმართველებს დღესაც ვერ შეუგნიათ, რომ ბოლშევიკებს არავითარი ხელშეკრულება თავის სავალდებულოდ არ მიაჩნიათ და ფაქტებს უწევენ ანგარიშს. ჩვენი მთავრობა კი ბოლშევიკებთან დადებულ ხელშეკრულებათა დაცვაში სეთს პედანტობას იჩენს, რომ ის კონტრაგენტშიც ცინიკურ სიცილს იწვევს!

საზავო ხელშეკრულების მიღებას სოციალ-დემოკრატების ოფიციოზები ალტაცებით მიეგებნენ: მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სრული განაღდება დაწერილ პუნქტებისა და ქართველი საზოგადოებაც შეცდომაში შეიყვანეს თავისი მატყუარა წერილებით, ვითომც ქართველი ჯარის სიმამაცე ბრძოლის ველზე ღირსეულად გამოყენებულ იქმნა სამშვიდობო მოლაპარაკებაში. პირიქით ჩვენ წინაზედაც ვწერდით, რომ საზავო პირობები აზერბაიჯანთან სრულებითაც არ გამომდინარეობდნენ ომის ვითარებიდან, რომ ჩვენმა დელეგაციამ სამარცხვინოდ წააგო ყველა ის უპირატესობანი, რაც საქართველოს არგუნა შეიარაღებულ ძალების სახელოვანმა მოქმედებამ.

მაგრამ სოციალდემოკრატები მაინც თავმომწონედ გაიძახოდნენ, რომ მათთვის უმჯობესია მეზობელთან კეთილგანწყობილება, ვიდრე რაიმე შემატება, თუნდ საკუთარ ტერიტორიის დაბრუნება!

და რას ვხედავთ ჩვენ?

სოციალდემოკრატებმა ვერც საქართველოს უდავო მიწა-წყალი დაიბრუნეს, ვერც სხვა მოგება იგემეს და ვერც კეთილმეზობლობას ეღირსნენ ,,წითელ'' აზერბაიჯანთან...

ეხლა უკვე ირკვევა, რომ აზერბაიჯანი არც ერთ საზავო ხელშეკრულების პუნქტის შესრულებას არ აპირებს...

ქართველი მენშევიკები ბრაზმორეულად ჰგმობენ კომუნისტების უპირობას მაგრამ უპირო კონტრაგენტი კრილოვის არაკის გმირისებრ ,,ყურს უგდებს და... სჭამს!'',

ასეც უნდა მომხდარიყო! ამდენმა მაგალითებმა ჭკუა ვერ მისცეს მენშევიკებს! მათთვის გაკვეთილები სულ უნაყოფოდ რჩება, ვერც მწვავე ,,მუჯლუგუნები'' არკვევენ მათ ხანგრძლივ ,,ლეტარგიიდან''.

ასე თუ ისე, საქართველო მწარე ფაქტის წინაშე დგას. კონტრაგენტმა მოატყუა, ხოლო თავის მესვეურებმა მორიგი სირცხვილი აჭამეს...

დღეს ბევრიც რომ ვიყვიროთ, საქმეს მაინც ვერ გამოვაკეთებთ.

აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულება კი მიემატება იმ დოკუმენტებს რომელნიც მომავალ თაობას საბუთებს მისცემენ იმასას, თუ როგორ არ უნდა განაგო საქვეყნო საქმე...

,,ერთობა''-მ ბევრიც რომ იწუწუნოს იმას მაინც ვერ დაჰმალავს, რომ ამ მორიგ მარცხში ძასაც მიუძღვის წილი?

## შეერთებული ძალღონით

ჩვენ მრავალჯერ გვითქვამს, და ერთხელ კიდევ უნდა განვიმეოროთ, რომ შეუძლებელია არსებობა დამოუკიდებელი საქართველოსი, თუ სომხეთი შეიმუსრა ოსმალეთის ან რუსეთის მიერ. ეს ორი ქვეყანა ლამობს შექმნას გაერთიანებული საომარი ფრთეული არხანგელსკიდან მოყოლებული ვიდრე სტამბოლამდის და სუეციდან ინდოეთამდის. ამ უზარმაზარ აუზს არ ექნება შესაფერი ძალა იმ დრომდის, სანამ ორს მოკავშირეს აერთებს მეტად უხერხული და ვიწრო სრუტე ევლახ-ნახიჩევანი-აზრუმისა. ეს უგზო და მთაგორიანი „კორიდორი'' ვერასოდეს ვერ გადაიქცევა ორი დიდი ქვეყნის შემაერთებელ არხად და ვერ დააკმაყოფილებს მათს სტრატეგიულ მიზნებს. მათთვის საჭიროა უფრო ფართე ასპარეზი-სომხეთ-საქართველო, რომელნიც აერთებენ რუსეთ-ოსმალეთს მოკლე და მოხერხებული გზებით: კავკავი-თბილისი-ყარსი, ბაქო-თბილისი-ყარსი, და შავიზღვის სანაპირო გზა ბათუმ-ტრაპიზონისა. მხოლოდ ფუქსავატი ოპტიმისტი დაიჯერებს, ვითომ გაერთიანებული ოკეანე რუსეთ-მუსულმანობისა ხელს არ ახლებს ერთ მტკაველ კუნძულს-საქართველოს. როგორც შეუძლებელია რუსეთ-გერმანიის კავშირი თუ მათ წინდაწინ არ გადალახეს პოლონეთი, ასევე წარმოუდგენელია რუსეთ-ოსმალეთის კავშირი სანამ ისინი არ დაანგრევენ სომხეთ-საქართველოს ზღუდეს. საჭიროა სამუდამოდ გაიფანტოს სახიფათო რწმენა საქართველოს ხელუხლებლობლისა, თორემ დაგვიანდება თითზე კბენანი და სინანული.

ამ ზღუდეს დანგრევას ლამობს დღეს ქემალის ოსმალეთი. მისი ჯარი უკვე მოადგა არტაანს და ამოვიდა ყარსის ზეგანზე. იგი უკვე ემუქრება ამიერ-კავკასიის კარს და გასაღებს-ყარსის ციხეს. სომხეთის ჯარი ოთხი მხრივ იბრძვის ვაჟკაცურად, მაგრამ... ნუ დაგვავიწყდება, რომ შარშანწინ ყარსმა მხოლოდ ერთი კვირა გასძლო. აჭარა-მესხეთიც უკვე გაცხელდა და საცაა ადუღდება. ხიფათი ზედ კარზედ მოგვადგა. საქართველო უკვე თავით ფეხამდის უნდა იარაღში იჯდეს, უკვე უნდა შეკრულ იქმნეს სამხედრო კავშირი სომხეთთან, უკვე უნდა მუშაობდეს საერთო შტაბი.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საკითხი ზლაზვნით და ზანტად მხოლოდ რედაქციებში ილეჭება. ჩვენ ვშიშობთ, ვაი თუ ქართველი ხალხის ბედის წიგნში სწერია დაგვიანდება ყველგან და ყოველთვის.

ქართველთა ამ თვისებას ძველი დროის მოგზაურნი და მწერალნიც აღნიშნავენ. გავიხსენოთ თუნდ დაგვიანებული მობილიზაცია და საომარი აშლა ბათუმის ჩაბარების რამდენიმე დღის წინათ, ან თუნდ სომხეთ-საქართველოს ომი, რომელიც დაიწყო 9 დეკემბერს, ხოლო მობილიზაცია გამოცხადდა 18 დეკემბერს. საჭიროა მოგონება და დახსომება ამ ფაქტებისა, რადგან ერთი ნახევარი ქართველ ხალხისა გაჟღენთილია იმ რწმენით, რომ საქართველოს ღვთისმშობელი ჰფარველობს, ხოლო მეორე ნახევარი შეცქერის ინტერნაციონალს და ურატაძის ზავს მოსკოვთან.

სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს გრძნობის პოლიტიკას, რომელიც არაფერს სწონავს და არც ზომავს. იგი ბრმაა და ყრუ, მაგრამ მას გძელი შხამიანი ენა აქვს. ეს ხალხი ჟამსა საერთო და უკიდურეს ხიფათისას მხოლოდ იმას ხედავს რაც აშორებს ერთმანეთს სომხეთ-საქართველოს, მას მხოლოდ წარსული ანგარიშები და ძველი უსიამოვნება აგონდება, იგი მხოლოდ იმ ბოროტ სულს მისდევს, რომელიც ყოველთვის და ყველას მხოლოდ ერთ სიტყვას ჩასძახის ყურში და გულში: „ჰკა მაგას!''

ამ ავი სულის პოლიტიკას მრავალი ქვეყანა დაუღუპას და იგი ჩვენც გვემუქრება. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ საქართველო მას არ გაჰყვება, გვწამს რომ ქართველ ხალხს არ დასჩლუნგებია თავდაცვის ინსტინქტი, რომ იგი გარკვევით და ნათლად დაინახავს—თუნდ დაგვიანებით—კარზე მომდგარ ხიფათს და თავის ჯავშნიან მკერდს სამხრეთისკენ იბრუნებს.

კიდევ ერთი რამ უნდა შევითვისოთ და დავიხსომოთ: პოლიტიკაში პირველი და უკანასკნელი მნიშვნელობა უფლებას და სამართლიანობას კი არა აქვს, არამედ მხოლოდ „ფეტ აკკომპლისს“, შესრულებულ ფაქტს. საქართველო სამხრეთ-დასავლეთით ჯერ მომიჯნული არ არის

ბ. ბ. რეჟისორები მხატვრები

**არტისტები ლიტერატორები,**

ჟურნალისტები და ყველა ის პირნი, ვისაც დამოკიდებულება აქვს

**✦ ხელოვნებასთან ✦**

მოწვეულნი არიან კვირას, 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე

**კინო „მინიონში“**

სადაც დირექციის თანხმობით შეფასებული იქნება სურათი

**როს თვით შენ გიყვარს, მხევალად გიმზერთ შენ**

**ხოლო დედოფლობ,**

**როს შენ უყვარხართ**

დრამა ხუთ მოქმედებათ, რომელიც ასურათებს

**თანამედროვე ოჯახის დარღვევას**

დადგმა და დეკორაციები ეკუთვნის სახელმწიფო თეატრის მხატვარს

ვ. ა. სიდოვს

სურათს შემდეგში აჩვენებენ თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო კინემოში. კინემოს სახელი და დაწვრილებითი ცნობები შემდეგში იქნება გამოქვეყნებული.

1—3165—2


ეს მიწა ჩვენვე უნდა გავავლოთ სისხლითა და მახვილით. ასეთი გახლავთ ულმობელი კანონი ამ ქვეყნისა. ეს რომ არ იყოს, ანგარიში უნდა გაუწიოთ ერთ სამართლიან კითხვას, რომელსაც მოგვცემს მიწის გამყვანი მოსამართლე. იგი ჰკითხავს საქართველოს: „რა გააკეთე ამ ნაჭრის დასაბრუნებლად, ან სად იყავი როცა ამ მიწას სხვა რწყავდა თავის სისხლით?“

მ. ადამაშვილი.

## მომარაგების სამინისტროში.

### ისევ შანშიაშვილი.

**მოხსენება ა. ლ. შავგულიძის, გორის მაზრაში მომარაგების სამინისტროს რწმუნებულის შანშიაშვილის რევიზიის შესახებ 28 ივლისი 1920 წ.**

თანახმად სახელმწიფო კონტროლის მოწერილობისა ამა წლის ივლისის 19 თარიღით № 5624 ით მე მქონდა დავალებული მომეხდინა მოულოდნელი რევიზია მომარაგების სამინისტროს რწმუნებულისა, რომელიც იმყოფება დაბა გომში გორის მაზრაში. სანამ რევიზიის შედეგს აღვნიშნავდე სურვილი მაქვს გამოვსთქვა საკუთარი აზრი საერთო მდგომარეობის შესახებ. დღესდღეობით მომარაგების სამინისტროს უმთავრეს ძარღვს სასურსათო მხრივ შიგნით შეადგენს შუა ქართლის გული გორის მაზრა. აუარებელი სიმდიდრე ჰინახული მოსდით აქაურ მცხოვრებთ, მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე მეტი ნაწილი ამ სიმდიდრისა ჩვენთვის მიუწდომელი ხდება, ეკარგება ჩვენ მთავრობას აპარატის მოუწყობელობისა გამო, რასაკვირველია აქ სანდო პიროვნებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს საიმედო პირები უნდა იყვნენ მომარაგების სამინისტროდან... მე, როგორც სახელმწიფო კონტროლის თანამშრომელი, გამკრიტიკებელი ყოველივე ოპერაციებისა, ობიექტურად გამსჯელი, მასთან დამცველი ხაზინის ინტერესებისა სრული პესიმისტი გავხდი გორის მაზრაში სამინისტროს რწმუნებულის მოქმედების თვალის გადევნებისას. საქმე შემდეგშია: გორის მაზრის რწმუნებულს არ სცალიან მომარაგების სამინისტროს ერთგულ სამსახურისათვის, მას არც ნამდვილი აპარატი აქვს მოწყობილი ამ საქმისათვის და არც ფიქრობს მასზედ ვინაიდან ის ჩაფლულია სხვა საქმეში, ემსახურება მეორე დაწესებულებას—გომის კოოპერატიულ კავშირს, სადაც თავიდანვე ყოფილა—არის გამგეობის წევრად და იღებს სისტემატიურად თვიურ ჯამაგირს... ორი საქმის გამომკიდებელი ეს იმისდა მსგავსია, როგორც ორი ყურდღლის მონადირე...აქედგან განსაჯონ მათ, ვისაც სადაც შეუძლიანთ საქმის გათვალისწინება, მე კი ვამბობ ამ ალაგას ინტენსიური შრომაა საჭირო, მაგრამ მრომელი არ არის. თუმცა რწმუნებული იურიდიულად იმყოფება, ფაქტიურად კი არა.

რწმუნებული აქ უნდა იყოს ხალხში ჩამომჯდარი მათ ფსიხოლოგიაში, მათთან ახლო მდგომი, პიველ ხელთან მოვაჭრე. აქ კი სულ სხვას ვხედავთ იგი ევაჭრება კოოპერატიულ კავშირს, იმ დაწესებულებას, რომელშიაც თვად არის, ე. ი. თვითონ ყიდულობს კავშირისათვის და მერმედ ჰყიდის თავის-თავზე სამინისტროსათვის, მოკლედ რომ ვსთქვათ რწმუნებული არის: მყიდველი—გამყიდავი—მყიდველი, აი არანორმალური მოქმედება რწმუნებულისა.

როგორც ოქმიდან სჩანს მას აქვს საქმე სამ კონტრაგენტთან, ეს ტეხნიკურად საქმეს უადვილებს რწმუნებულს, მაგრამ ეკონომიურად კი არ გამოდის წესიერი, რადგან აქ როგორც ეჩნევა სპეკულიაციას დიდი გასავალი უნდა ჰქონდეს, რაც ნათლად აფერხებს მთავრობის მიერ დადებულ ნიხრს. არც მოხსენებული ფასი მმართველ ორგანოსი არ ტარდება. არ არის რყევა ფასის როდესაც იგი უნდა სწარმოებდეს მდგომარეობის მიხედვით, მე აქ მოვიყვან ეხლანდელ მაგალითს: ქერის ფასი გამოცხადებულია 400 მანეთი ფუთზე, სოფლელები ეხლახან ჰყიდიან ვაჭრებზე, ვინაიდან აკრძალულია გატანა 300 მანეთად ფუთს. რწმუნებულმა კი ბრძანა ამაზე („მე მაქვს ერთი ნიხრი დაწესებული და ქვევით ვერ ჩამოვალო“). რაშია საქმე. ამას თვით რწმუნებული განმარტავს, მე კი გაბედულად ვლვიარებ: მას უძევს სხვა რამე სარჩულად, რომელიც უნდა გამოვხატო ამ სიტყვით „ბოროტმოქმედება“, რასაც დიდი დაკვირვება ესაჭიროება.

თუ ვაჭრობის პოლიტიკას გავითვალისწინებთ, ავიღებთ მის დოგმებს, ცხადზე უცხადესია დავრწმუნდებით, რომ რწმუნებული უკანონოდ ფლანგავს ხალხის ქონებას, რადგან მას შემთხვევა ეძლევა სანოვაგის იაფად შეძენა და იგი ამით არ სარგებლობს.

როგორც რწმუნებულის მემორიალის წიგნმა მაუწყა მას მიუღია სამინისტროდან 50.285.739 მანეთი. ამ ჯამიდან გორის ხაზინაში გაუვლია 15.500.000 მანეთს, დანარჩენი კი წასულა ვინ იცის სად. შესაძლოა აქაც კომბინაცია; აიღოს ფული გადასცეს რომელიმე კომერსანტს გადასაბრუნებლად პროცენტებით. კონტროლი ხომ არ ყოფილა. ვინ რას გაუკებდა. ფული ფულს იგებს, დღეს მისი გაჩერება-დადუმება საგრძნობი ზარალია. ჩემ შეკითხვაზე თუ რამდენი მიიღო სამინისტროდან თავიდანვე, გამიცხადა „თვით სამინისტრო მოგაწოდებს მაგ ცნობებს.“

რწმუნებულის ფუნქცია გორის მაზრაში ძაან მაცკიფრებს. კავშირები ყიდულობენ რწმუნებულისათვის ჰინახულს, ყოველივე სდელკას კლიენტებთან ისინი ასრულებენ, მიუმატებენ პროცენტებს და ჰინახული ვაგონებშია სამინისტროსათვის. აქ იბადება კითხვა: რწმუნებული, რომელიც თვეში ღებულობს 15.000 მანეთს 94.000 მან., რაც მას მიუღია საჩუქრის სახით სამინისტროდან 200.000 მანეთი, როგორც მან გამიცხადა, მან უნდა მიიღოს საჩუქრად თანაშემწე მისი 12.000 მანეთი ჯამაგირით, რას აკეთებს? აი დილემა ჩვენ წინ...

ბუხჰალტერიას რწმუნებულისას აწარმოებს გომის კავშირის ბუხჰალტერი, რომელიც ღებულობს 3.000 მანეთს თვეში სამინისტროს წყაროდან, თუმცა იგი შტატში არ არის.

საბუთები ზოგიერთები, რომლებიც მე ვნახე რწმუნებულთან ხარჯის გაწევის შესახებ მოკლებულია ყოველივე იურიდიულ ფორმას. ხელწერილებს არ აქვს არც ერთი რეკვიზიტი, მაგ. არის ხელწერილი 10.000 მანეთი გაცემული შემდეგ ტექსტით: „მივიღე სამინისტროს რწმუნებულიდან 10.000 მანეთი“. ხელს აწერს მიმღები.

ამას გარდა არის ხარჯები: სამინისტროდან ფული წამოუღია რწმუნებულს და სამგზავრო თითო გზაზე მიუღია 1.000 მანეთი, უმგზავრია რვაჯერ—8.000 მანეთად, კიდევ სამჯერ 3.000 მანეთად, გასავალ მუხლში ამნაირად არის გატარებული ხარჯები უსაბუთოდ. ფულს კი ხელზე ჩემის აზრით—არ უნდა ღებულობდეს ტფილისში, რადგან ადვილი შესაძლოა ამ ნიადაგზე სიმულიაცია. უმჯობესია სამინისტრომ გადაგზავნოს ფული გორის ხაზინაში, საიდანაც გამოსწერს რწმუნებული საჭიროებისა მიხედვით ჩეკის საშუალებით.

საწყობი რწმუნებულს არა აქვს თავისი საკუთარი, ეგ ხომ აბსურდია. აწყობს სხვის საწყობში, რაც მართალია იძლევა გარანტიას გარედან გატაცების მხრივ, მაგრამ შიგნიდან ადვილი შესაძლოა გაუგებრობა მოხდეს.

ერთ კარდინარულ საკითხთაგან შეადგენს სამინისტროდან გადმოგზავნილ საქონლის გაცვლა გამოცვლის მოწესრიგება. უკანასკნელზე ლაპარაკიც მგონი არ ყოფილა. რწმუნებული, კოოპერატიულ გამგეობის წევრს მოაქვს სამინისტროდან საქონელი ყოველნაირი, აწყობს კოოპერატივის საწყობში და უნაწილებს ჯერ თავის თავს, გომის კოოპერატიულ კავშირს და მერმედ გორის ორ დაწესებულებას. განაწილებამდე დანაკლისიც ადვილად ხდება (იხილეთ დართული ოქმი). ყველა საქონელი ურიგდება ზემო აღნიშნულთ იმ ფასათ, რასაც სამინისტრო ადებს. სამინისტროს თუ ვაყიდვა სურს გომში რომ არ გაგზავნოს სულ იოლად შეუძლიან მეტ ფასად გაასაღოს ტფილისშივე, მაგრამ ამ საქონლის გადაგზავნას სულ სხვა დანიშნულება აქვს ჩემის მხრით. სამინისტრო გზავნის მინიმუმ ფასად (ასედაც უნდა იყოს) საქონელს სოფელში პირდაპირ ჰინახულზე გადასაცვლელად. თვით სოფლის მოქალაქენი გაიძახიან „ჰინახულს არ მივცემთ თუ მანუფაქტურა ან სხვა საჭირო მასალა არ მოგვეცა გასაცვლელად“. ეს სიტყვები მე პირადად ვისმინე ხალხიდან მოქალაქე ისიდორე რამიშვილის მიტინგის დროს.

მთავრობა მათ აწოდებს, მაგრამ სოფლამდის არ მიუღწევია სხვა და სხვა მახინაციის წყალობით. ასე რომ თაკრობის პლიუსი-სიკეთე ხალხსადმი, ხალხში მიდის მინუსად. აი ბოროტება, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ ყოველ ძალღონით.

მთავრობა გზავნის საქონელს, არ კითხულობს სად მიდის და ვინ ღებულობს. გარანტია იმისი, რომ გადაცემა ხალხს პირველ ხელიდანვე არ არის, რაც უკვე დავადასტურე ჩემი რევიზიით. ნაწილი გადაგზავნილ საქონლისა გადის ვიდა ცევების სასარგებლოდ, დანარჩენი ურიგდება სამ დაწესებულებებს, ისინი თავის მხრივ ითვისებენ კარგს, მონარჩენს უმატებენ საგრძნობ პროცენტებს თავის სასარგებლოდ და ყიდიან ხალხზე. სამინისტრო კი ღებულობს იმ ფასს, რასაც თბილისში ადებს. ამ საქმეს უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება. ყველამ უნდა იცოდეს დღეს სოფლად სხვა და სხვა ბოროტმოქმედ პირების საშუალებით სუფევს ანტაგონიზმი მთავრობისადმი, თუ რწმუნებულის მოქმედების ავიღებთ, ესეც მოხდება აქვე აღნიშნულ კატეგორიაში, რადგან თავის მოქმედებით სცემს მთავრობის პრესტიჟს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, მთავრობამ ეს მოქმედება არ იცის, ვერც გაიგებს, უკანასკნელის გადმოძახილ-შეკითხვის პასუხი იჩქმალება, რაც უფრო ართულებს სიმწვავეს სოფლად.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ ხალხი გაიძახის ერთ ხმად „ფულად არ ვყიდით პურს, უმჯობესია საქონელზე გადავცვალოთო“. მართლა რომ მოეწყოს მომარაგების სამინისტროს საწყობები, რომელთაც სათავეში არ ეყოლებათ სპეკულიანტ ქურდები, მთავრობას დიდ სარგებლობას მოუტანს ყოველ მხრივ, თითქმის რესპუბლიკის ფინანსებიც ცოტად გამოსწორდება.

(დასასრული ხვალ.)

## ს. ადანაიას განთავისუფლება.

მომარაგების მინისტრის ბ. ერაძის ბრძანებით დაპატიმრებული ს. ადანაია საოლქო სასამართლოს პროკურორმა თავის განკარგულებით ციხიდან განთავისუფლა.

### „სახალხო საქმე“

გაზ. „სახალხო საქმე“ მომარაგების სამინისტროს შესახებ სწერს შემდეგს:

„პრესასა და საზოგადოებაში დიდი ხანია ლაპარაკია მომარაგების სამინისტროზე.

გულახდილად უნდა ვსთქვათ, ხალხმა და თვით პრესამაც ძლიერ ნაკლებად იცის მომარაგ. სამინისტროს ამბები. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ რამდენსამე საგნის მონოპოლიაა გამოცხადებული. ვიცით აგრეთვე, რომ თითქოს ხსენებულ საგანების სყიდვა ჰხდება, საზღვარ გარეთაც იგზავნება. მაგრამ ჩვენ სრულიად არა ვიცით რა, თუ რა შემოაქვს მომარაგების სამინისტროს გატანილის სამაგიეროდ ვიცით აგრეთვე, რომ იქ მილიონები ტრიალებს, მაგრამ ამ ტრიალის შედეგს ვხედავთ მხოლოდ იმ უვარგის პურის სახით, რომელსაც ეს უწყება აწვდის რესპუბლიკას მუშა მოსამსახურეებს, ყრუდ ვიცით აგრეთვე რომ მომარაგების სამინისტროს მჭიდრო კავშირი აქვს საერთოდ ჩვენს ვალიუტასთან. მის ხერხიან მოქმედებაზეა დამოკიდებული ჩვენი ფულის კურსის მოგვარება და სხვა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს კურსი დღითი-დღე ეცემა და საქართველოს საფინანსო მდგომარეობა კატასტროფიული ჰხდება. ერთი სიტყვით, ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ მომარაგების სამინისტროს ხელშია ფაქტიურად მთელი საქართველოს სიმდიდრე და მაინც მშიერ მწყურვალნი, შიშველნი ვართ, ვიცით რომ მომარაგების სამინისტრო ის უძირო ბოჭკაა, სადაც ყოველის მხრიდან მიდის ქართველი ხალხის სიმდიდრე, ხოლო აქამდე არვინ იცის საით გადის, რას ხმარდება ეს სიმდიდრე.

მომარაგების უწყება თავიდანვე დაწყევლილია. რამდენიმე მისი მეთაური გამოიცვალა, მაგრამ არც ერთხელ, დღიდან მისი დაარსებისა, არ მომხდარა რევიზია მთელი უწყებისა, ასეთი რევიზია კი აუცილებელია საქმისათვის. საჭიროა, რადგან ეს უწყება, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელშია საქართველოს ბედი, ბედი, მიუხედავად იმისა, რომ მილიარდები, უჭირავს ხელთ—არ ექვემდებარება არავითარ კონტროლს, არავინ იცის მისი შესავალ-გასავალი შტატები და სხ.

ერთი კი ვიცით: მიდით როდისმე მომარაგების სამინისტროსთან, ან ახლო გაიარეთ და იქ შეხვდებით ათასი ჯურის გადამთიელ და შინაურ სპეკულიანტს, ყველას, ვინც გაძრომ-გამოძრომა ხელობად გაუხდია, ვინც ქართველი ხალხის ორგანიზმს წურბელსავით დასწაფებია და გაუმაძღრად სისხლსა სწოვს, ვინც პარაზიტად არის გაჩენილი და ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვას ხელს უწყობს.

მაგრამ გვირგვინი მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობისა ბოლოს და ბოლოს არის ის ტალახი, რომელიც კი ხანის განმავლობაში ეძლეოდათ მოქალაქეებს და რომელშიაც მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით მომხდარ რევიზიის აღმოჩენით, —ხოლოდ ორმოცი პროცენტი თუ არის ნამდვილი პური და ნუ თუ ეს უკვე არ მოწმობს, რომ „დანიის სამეფოში ყველაფერი რიგზე ვერ არის“, რომ ჰხდება ბოროტმოქმედება, ისეთი ბოროტ-მოქმედება, რაიც ნამდვილი ღალატია ჩვენი ქვეყნისა? ნუ თუ ყველასათვის ცხადი არაა? ნუ თუ ყველასათვის ცხადი არაა, რომ მილიონები, რომელიც პურის შესაძენად იხარჯებოდა, ნამდვილად მიდიოდა კერძო პირების ჯიბეში და მომარაგების სამინისტროს იმის უნარიც არა აქვს, რომ ტალახი და ფქვილი ერთმანეთში გაარჩიოს, თავის აგენტებს შესაფერისი კონტროლი გაუწიოს.

მაგრამ თუ მომარაგების საქმის მეთაურს არ შესწევს ამის უნარი, ასეთი კონტროლი უნდა გაუწიოს მას დამფუძნებელმა კრებამ, სათანადო ორგანიზაციებმა. უნდა გამოირკვეს ამ უწყების მდგომარეობა და იგი არ უნდა წარმოადგენდეს „სახელმწიფოს სახელმწიფოში“, როგორც უწოდა ამის წინად მას სოციალ-დემოკრატიულმა ოპოზიციამ („ახალი სხივი“). ჩვენი ხალხის მომარაგების საქმე უნდა მოგვარდეს და მის კრიტიკაში ჩვენ დაუნდობელნი უნდა ვიყოთ. კონტროლის თვალმა უნდა შეანათოს ხსენებულ უწყების ყველა ჯურღმულში და დღის სინათლეზე გამოაფინოს ყველაფერი, რაც საზოგადოებას ასე აღელვებს და აინტერესებს.

შეიძლება თვით მეთაური უწყებისა პირადად უმწიკვლო ადამიანი იყვეს, ჩვენ ეს დასაშვებად მიგვაჩნია. მაგრამ კატეგორიულად, გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ იგი თავის ადგილზე არაა და დაუდევრობით, გაწყვეთბაბი უკონტროლობით აიხსნება ის, რომ აქამდე არ მომხდარა რევიზია უწყებისა, არ მიგვიქცევია ჯეროვანი ყურადღება იმ დეფექტებისათვის, რომელთაც მთელი რესპუბლიკის ინტერესების შელახვა, დაზიანება შეუძლიათ.

ჩვენ მოვითხოვთ სასტიკ რევიზიას, მომარაგების საქმეთა მზის სინათლეზე გამოტანას, რომ საზოგადოებრივმა სინდისმა ჰპოვოს კმაყოფილება. გუშინ უკვე აღვნიშნეთ, რომ სადავე იმ უმაგალითო დაუდევრობისა, რომელზედაც მთავრობის თავმჯდომარე ლაპარაკობს და საყვედურს უთვლის ტფილისის ქალაქის გამგეობას—სათავე ამ უმსგავსობისა—მომარაგების სამინისტროშია, იქ, სადაც ფქვილის მაგივრად ბზეს, ქვიშას და ტალახს ყიდულობდნენ.

აღშფოთებული სინდისი მოქალაქეთა პასუხს მოელის სასტიკი, პირუთვნელი რევიზია და დაქვემდებარება მომარაგების უწყებისა სასოგადოდ არსებულ კონტროლისადმი—აი რას მოვითხოვთ ჩვენ. უამისოდ უწყებას არავითარი ავტორიტეტი არ ექნება და ამისი არსებობა მხოლოდ ქვიშიან პურით მოგვაგონდება. ჩვენ ველით ზომების მიღებას!“

## უცხოეთში.

### ვილჰელმის ბედი.

გერმანულ გაზეთებში შემდეგ ნაირად ასწერენ ვილჰელმის დღევანდელ მდგომარეობას: „ყოფილი იმპერატორი ვილჰელმი ამ ჟამად თავის თავს აღარა ჰგავს. იგი სახეზე შეშლილია. ძალზედ მოხუცდა კიდეც, გაჭაღარავდა. სადღაა მისი თვალების ელვარება, წინად რომ არწივისებურად ცეცხლს მოაფრქვევდა. იგი ისე შესაბრალისია, რომ ცოცხალ კარიკატურას წარმოადგენს ძველ ვილჰელმისას. ჩამომდნარ ჩამომჭკნარი, დაჩაჩანაკებული და დაქვეითებული, აი ის, ვინც ოთხი წლის განმავლობაში მთელს ქვეყანას თავზარსა სცემდა. იგი ხშირად ეცემა მორალურად და მელანა ქოლია იპყრობს, მისი საყვარელი გართობა—შეშის ჭრაა, უჭირავს ცული და თითქოს მთელს ბოღმას შეშაზე ანთხევს. სადღაა ოდესაც ამაყად მომზირალი თვალები, საიდანაც ნაკვერცხლები სცვიოდა უწინდელ ბრწყინვალე—ენერგიისა და ტემპერამენტისა! ერთხელ მოხდენილად ჩაარჭო ნაჯახი მაგარ ხის კუნძში და მრავალმნიშვნელოვანად უთხრა თავის მახლობლებს: „ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო, რომ მე დავბრუნდე ჩემს ჩაყვარელს გერმანიაში და მაშინაც ჩემი ნაჯახი ასე ლამაზად ნაფოტს თლიდეს ყველა კუნძზე..“

**მფრინავთა საერთაშორისო კონგრესი.**

ჟენევაში ჰერში მფრინავთა საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა სოლანდ ნაპოლეონის თავმჯდომარეობით. კონგრესმა სამ დღეზე გასტანა. იგი დასრულდა ბრიგეში ძეგლის აგებით. ძეგლი იგი დაიდგა პერუელ ავიატორ შავეზის საფლავზე, რომელმაც ყველა ავიატორთა შორის პირველი გადაფრინდა ალპების მწვერვალებზე ბრიგედან დომოდოსოლამდე, სადაც დაიღუპა სწორედ დაბლა ჩამოშვების დროს.

**გერმანიაში.**

„ტანი“ იუწყება: „თანდათანობით უფრო აშკარად იწყებენ მოქმედებას კომუნისტები. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ რუს ბოლშევიკებთან. ჰფიქრობენ კიდეც, რომ არსებული მთავრობა გადმოაგდონ და ძალა-უფლება თვითონვე ჩაიგდონ ხელში. დღითი დღე იზრდება რუსეთისკენ გადმოხრა. რუსული ორიენტაცია ძლიერდება და ხელის შემშლელი არავინ არისო.

## დეპეშები.

### საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

**საფრანგეთის ექსპორტი.**

ვაშინგტონი. ენკენისთ. 23 „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით საფრანგეთმა გემ „შლაფნიტით“ 10 1—2 მილ. დოლარი გაუგზავნა ამერიკას ვალის გასასტუმრებლად. ამერიკული გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთმა 3 მილიარდიანი დეფიციტი ძლიან შეამცირა. უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში საფრანგეთის ექსპორტი 200 პროც. გაიზარდაო.

**საბერძნეთი და ოსმალეთი.**

ათინა. ენკენ. 28. გაზეთი „პროია“ ეხება ოსმალეთის პრესის მიერ აღძრულ საკითხს საბერძნეთ-ოსმალეთის კავშირის შესახებ. გაზეთი სწერს: საბერძნეთის ხალხის სურვილია ოსმალეთთან დაახლოვება, მაგრამ საჭიროა ოსმალეთმა თავისი გულწრფელობა საქმით დაამტკიცოს. ამ მიზნით ოსმალეთის მთავრობამ ქემალის წინააღმდეგ აქტიურად უნდა გამოვიდეს. ანატოლიის დაცხრომას თვით საბერძნეთი იკისრებს, მხოლოდ ამგვარი ურთიერთობაში შეიძლება საბერძნეთ-ოსმალეთის კავშირი.

**მიწის რეფორმა ლიტვაში.**

ვილნო. ენკენისთ. 25. ლიტვის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით მემამულეთ 70 დესიატინას მეტი თუ აქვთ გაყიდვის ან იჯარით გაცემის უფლება ერთმევათ. გაყიდვის ნებართვას იმ შემთხვევაში მისცემენ თუ მამულის გაყიდვიდან აღებულს ფულს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას მოახმარებენ და ან თუ უმამულო გლეხებს მიყიდიან.

**გერმანია და ლიტვა.**

ბერლინი. ენკენისთვის 28. გერმანიის მთავრობამ ლიტვის მთავრობასთან საქონლის გადაცვლის შესახებ ხელშეკრულება დასდვა. გერმანია აძლევს ლიტვას 5.000 ტონ ქვანახშირს ხე ტყისა და თესლეულობის სამაგიეროდ.

**ტიფი რუსეთში.**

ვარშავა. ენკენისთვის 28. პოლონეთის პრესა რუსეთში ტიფის გავრცელების შესახებ იუწყება. 1918 წ. ტიფით ავად გახდა 105.000 კაცი. 1919 წ. 2.100.000 და 1920 წლის პირველ ნახევარი კი 4.000.000 კაცი.

**ინგლისი და რუსეთი**

ბერლინი. ენკენისთვის 28 „ფორვერტსი“ აქვეყნებს გენერალ გოლოვინის წერილს საზონოვისადმი. გოლოვინს ჩერჩილი ახასიათებს ისეთ პიროვნებათ რომელსაც სურს ბოლშევიკების საწინააღმდეგო ძალებს აქტიური დახმარება გაეწიოს. ჩერჩილმა წინადადება მისცა ინგლისის პარლამენტს 10.000 ჯარის შედგენის შესახებ ანტიბოლშევიკურ ძალების დასახმარებლად.

**ანტანტის ვალი.**

ბრიუსელი. ოქტომბერის 1 ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე გამოირკვა რამდენი ვალი ქონია ანტანტს. საფრანგეთმა ომის დროს თავის მოკავშირეთ ასესხა 7,575 მილ. ფრანკი მასთან ერთად საფრანგეთმა ისესხა ამერიკიდან 2,985 მილ. დოლარი, ინგლისიდან 514 მილ. სტერლინგი. ამ გვარად საფრანგეთის ვალი უდრის 60 მილიარდ ფრანკს. ინგლისს მართებს ამერიკის 1,060 მილ. გირვანქა და ამავ დროს ასესხა სხვა სახელმწიფოებს 1715 მილ. გირვანქა. ამერიკამ თავის მოკავშირეებს ასესხა სულ 9,500 მილიონი დოლარი.

**საქონელი რუსეთისათვის.**

ბერლინი. ენკენისთვის 28 რეველის ნავთ სადგურში დიდი მუშაობაა. გზავნიან საქონელს პეტროგრადში. ავგუსტოდან მატარებელი დადის რეველ პეტროგრადისა და მოსკოვს შუა.

**რუსეთში აღმოცენებული რესპუბლიკები**

სტამბოლი. ენკენისთვის 20 „ორიენტ ნიუსში“ დაბეჭდილია პარიზელ კორესპონდენტის დეპეშა, რომელიც იუწყება: საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ხაგარეო საქმეთა კომისიამ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს მიმართა მემორანდუმით აღნიშნონ თავიანთი შეხედულებანი ბოლშევიკებთან. ამ სახელმწიფოთა მთავრობებს მიმართეს გამოსთქვან თავიანთი აზრი რუსეთის მომავალ ორგანიზაციაზე.

### საბჭოთა მთავრობის მისიის ცნობები.

**ამერიკა და ვრანგელი.**

რეველი, ლვინობისთვის 6. (რადიო მოსკოვიდან.) შეერთებულ შტატების მთავრობისგან ვრანგელმა მიიღო საიდუმლო წინადადება., ამბობენ, რომ ამერიკა ვრანგელის მთავრობას იცნობს.

**გაზ. „დეილი ჰეროლდის“ გაყიდვის აღკრძალვა.**

რეველი. ღვინობისთვის 6. (რადიო მოსკოვიდან.) ინგლისის მთავრობამ აღკრძალა სოციალისტური გაზეთის „დეილი ჰეროლდის“ გაყიდვა.

**პოლიტიკური კურსები ჩეჩნებისათვის**

გროზნა. ღვინობისთვის 6. კავკასიის შრომის არმიის განყოფილებასთან იხსნება ჩეჩნებისათვის პოლიტიკური კურსები.

## სომხეთ-ოსმალეთის ომი.

**სომხეთის დიპლომატიურ მისიის ოფიციალური ცნობა.**

**მდგომარეობა ფრონტზე.**

ღვინობისთვის 7-ს მცირე-ოდენი შეტაკებანი სწარმოებს ადგილობრივ ხასიათისა.

ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ სწარმოებ-გებლოდ.

### გენ. სტოკსის აზრი.

ამ დღეებში ბრუნებული ინგლისის კომისარ გენ. სტოკსის აზრით მდგომარეობა სომხეთის ფრონტზე სომხეთისათვის სასარგებლოდ ჰქონდა ჩათვალოს. სომხეთი როგორც ლაშქრით ისე საომარ მასალით უკვე მომზადებულია საჭირო ოპერაციების საწარმოებლად.

### ლაშქრის სარდალი:

სომხეთის ლაშქარს სარდლობს გენ. ნაზარბეგოვი.

### მობილიზაცია.

მობილიზაცია კარგად მიმდინარეობს მოხალისეთა შორის თბილისში ბევრი ქართველი ოფიცრობა ჩაეწერა.

### სტარკის აზრი.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის სტარკის განცხადებია: ჩვენ 2 თვის წინად შუამავლობას ვკისრულობდით სომხეთსა და ოსმალეთს შუა მოსარიგებლად მაგრამ მაშინ თქვენ არ გაიზიარეთ ჩვენი წინადადებაო.

სომხეთს კი ფაქტიურად ოფიციალ ოსმალეთთან უკვე ხელი მოუწერია, ოღონდ ჯერ არ მიუღია რატიფიკაცია ამ ხელშეკრულებას. ყოფილა მეორე წინადადება ამ ზაფხულს ,,ანგორის ეროვნულ საბჭოსი სომხეთის მთავრობისა'' ბეკიხ სანი ბეგის მიერ წარმოგზავნილი, რომელიც მოითხოვდა ოლთისიდან ჯარების გაყვანას, რაზედაც უარი მიუღიათ, ასე რომ საბჭოთა რუსეთის აზრი შუამავლობის შესახებ სომხეთის მიერ მიუღებელია.

### ბოლშევიკების ძალები თავმოყრა.

როგორც გუშინდელ გაზეთში გვქონდა მოხსენებული, ჩრდილო აღმოსავლეთ სომხეთში ბოლშევიკები ჯარის კონცენტრაციას ახდენენ. ამ გარემოებაზე შემდეგი განმარტებითი და დამატებითი ცნობები მივიღეთ: საქმე იმაშია რომ, მიუხედავად მიმდინარე წლის 10 მარიამ დადებულ ხელშეკრულებისა სომხეთისა საბჭოთა რუსეთთან ზანგეზურის მაზრაში კაპანის რაიონში მთიან სომხეთის მცხოვრებნი მაინც განაგრძნობდნენ შეტაკებებს ნჟდე-ს მეთაურობით, რომელსაც საკმაო ძალები შეუგროვებია და აწარმოებს ბრძოლას. აი ამ რაიონში თავს იყრიან ბოლშევიკთა ძალები და თავდასხმას აპირებენ შარურზე, რომ სომხის ჯარს ზურგიდან მოექცნენ.

### მისიებში.

უცხოსახელმწიფოთა ყველა მისიებმა უკვე აცნობეს თვის მთავრობებს მდგომარეობა ფრონტზე და ყოველ ახალ ცვლილებების შესახებაც აწვდიან ცნობებს.

### თხოვნა ლტოლვილებზე.

სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი სთხოვს საქართველოს მთავრობას ნება მისცეს ახალბალაბთან მოგროვილ სომეხ ლტოლვილები საქართველოს ტერიტორიაზე გავლით გუმბრომში წავიდნენ.

# ახალი ამბები:

## სამინისტროში.

— **ფინანსთა სამინისტროში.** ფინანსთა სამინისტრო შეუდგა სახელმწიფოს მიერ მცხოვრებლებზე ნავთის დარიგების პროექტის შემუშავებას. ნავთი მცხოვრებლებს ერთი წლით შემუშავებულ გეგმის მიხედვით დაურიგდებათ. ამ გეგმაში ადგილობრივი პირობების მიხედვით ყოველდღიურად შეიტანებენ შესწორებას. ამ გვარად აცილებულ იქნება უწესრიგობა ნავთის მომარაგებისა და განაწილების საქმეში. სახელმწიფო უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს ნავთის პროდუქტის ღირსებას, ვინაიდან ის სანამ მიიღებდეს ასეთს, მას კარგად შეამოწმებს. ნავთის ნაკლოვანების გამო მოვაჭრეები მას საშინლად აძვირებდენ. ამასთანავე კერძო მოვაჭრეები, სოფელს სრულებით ივიწყებდენ. სახელმწიფო კი ყველა მცხოვრებლებს იაფ ნავთით უზრუნველყოფს. ნავთი კოოპერატივების და ქალაქების თვითმართველობების საშუალებით დარიგდება.

— **მომარაგების სამინისტროში.** ფოთში მოვიდა გემი ,,ვოზროჟდენიე'' რომელმაც მომარაგების სამინისტროსთვის გადასაცემად მოიტანა 13,000 ფუთი ქერი. ამავე გემმა მოიტანა რესპუბლიკის მცხოვრებთა საჭიროებისათვის 80.000 ფუთ. ხორბალი.

— **სახელმწიფო თეატრი.** სახელმწიფო თეატრის გამგეობამ შეიმუშავა ანგარიში თავის მოქმედების შესახებ. ანგარიშში იუწყებიან, რომ გასულ სეზონში თეატრში ყოფილა 305.490 კაცი. ამ რიცხვში 50,105 კაცი დასწრებია მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენებს. 35.735 კაცი მუშათა წარმოდგენებს და 12.000 გვარდიელი და ჯარისკაცი რომლებსაც განსაკუთრებული დღეები ქონდათ. მუშათა წარმოდგენებზე ფასები იყო: 10 მანეთი და სხვა... ჯარის კაცთა და გვარდიელთა წარმოდგენები უფასო იყო. მუშების და ჯარისთვის გამართულმა სპექტაკლმა 700.000 მან. ზარალი მისცა.

— **ხავაჭრო და მოკიდებულება.** მიწად მოქმედების სამინისტრომ გერმანიიდან და საფრანგეთიდან მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღების ერთი პარტია, განსაკუთრებულ მებაღეობისა და მევენახეობისათვის საჭირო. ამ იარაღების ყიდვა შეიძლება მიწად მოქმედების სამინისტროს მუშტაიდის საწყობში.

## დამფუძნებელ კრებაში.

— **დამფუძნებელ კრებაში.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ,,ჩხარის რაიონის გვარდიის ყრილობა გიგზავნით გულწრფელ სალამს. გვარდია ყოველთვის მზათაა შესწიროს თავი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და საერთაშორისო პროლეტარიატის იდეალს. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

## ერობა.

— **დიღმის არხი.** თბილისის მაზრის ერობა შეუდგა დიღმის არხის გაყვანას არხის თავი წიწამურიდან იწყება, სარწყავი მინდორი უდრის 2 ათას დესეტინას.

— **დანიშვნა,** თბ. სამაზრო ერობის დადგენილებით რ. ძიგური დაინიშნა თბ. სამაზრო მილიციას უფროსის თანაშემწედ.

## მუშათა ცხოვრება.

— **წისქვილებზე მომუშავეთა მდგომარეობის გამოკვლევა.** ,,პროდოვოლსტვიეს'' მუშათა კავშირმა მოახდინა თბილისის წისქვილებზე მომუშავეთა მუშების მდგომარეობის გამოკვლევა. დაათვალიერეს 9 წყლით მომუშავე და ერთი ორთქლით მომუშავე წისქვილი. გამოირკვა, რომ წისქვილებზე მომუშავე მუშები სამჯერ ეცვლებიან ერთმანეთს. თითო რიგი 8 საათს მუშაობს. უქმედღეებში მუშები იღებენ იმ ვე ხელფასს რასაც საქმიან დღეებში. ზოგიერთ წისქვილებზე მუშებს ხანდახან ფულის მაგივრად ფქვილს აძლევენ. მაგრამ ფქვილის მიცემას რეგულიარული ხასიათი არ აქვს. კავშირის გამგეობამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები რათა წისქვილებში დაცულ იქნას შრომის დამცველი ყველა კანონები.

— **მუშათა ცხოვრება.** ,,პროდოვოლსტვიეს'' მუშების კავშირის გამგეობამ დაადგინა: გაგზავნოს ორი წარმომადგენელი საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და სეკრეტარიატის სხდომაზე, რომელიც მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს განიხილავს. კავშირის გამგეობამ თავის წარმომადგენლებს მიანდო აღძრას საკითხი მუშათა მაგიდის მიერ მუშებისათვის ხორცის იმავე საფუძვლით მიწოდების შესახებ, რა საფუძველზედ მათ პური ეძლევათ. ამას გარდა გამგეობამ დაადგინა იზრუნოს მუშების თვის შეშის, კარტოფილის და სხვა პირველ საჭიროების საგნების მიწოდების შესახებ.

## სხვა და სხვა.

— **ეპისკოპოზ მარიონდოს გამგზავრება.** პაპის წარმომადგენელი საქართველოში ეპისკოპოზი გაბრიელ მარიონდო ორი კვირით ეპარქიის დასათვალიერებლად ახალციხეში გაემგზავრა.

— **გზათა უწყების დეპარტამენტში.** გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას მიღება აქვს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 9 საათიდან 10 ნახ. საათამდე.

— **ტეხნიკურ კომიტეტში.** კოზლოვსკის თავმჯდომარეობით ტეხნიკურ კომიტეტის სატეხნიკო და ქიმიურ განყოფილებას სხდომა ქონდა. განყოფილებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. პრივილეგიის მიცემა ქიმიურ წმინდა მჟავ-ბადის დამუშავებაზე, 2. სამარხო ზეთიდან საპნის გაკეთებაზე, 3. (პრეს პაპიერზე, გამარჯვება), 4. იმ ჭურჭლის გაკეთებაზე, რომელიც არ ტყდება, სახელდობრ ,,კოკა''-დან, რომელიც არ იწვის და არ ჟანგდება და სხ. გადაწყვეტილია ბორჯომში გაგზავნონ პროფ. დიდებულიძე მჟავ ბადის დამუშავებულ აპარატის დასათვალიერებლად. ექსპერტიზა დანიშნულია დანარჩენ საქმეების გამოსარკვევადაც.

— **ინგლისის უმაღლესი კომისრის ჩამოსვლა** ოქტომბრის 6. ს ღამის 7 საათზე სომხეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა ინგლისის უმაღლესი კომისარი პოლკოვნიკი სტოკსი. სტოკსი გაემგზავრა ერევანს პოლკოვნიკ ბროუნისა და თავის მდივნის ლუეტრის თანხლებით. სტოკსი ერევანს ოქტომბრის 4 საღამოს 10 საათზე მოვიდა. აქ მათ სადგურზე სომხეთის მთავრობის წარმომადგენელები და სომხეთის მთავრობის ჯარების მთავარ სარდალი დახვდენ. სტოკსის მოსვლის სადგურზე გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული მუსიკით. ოქტომბრის 4 მთელი დღე პოლკოვნიკს მოლაპარაკება ქონდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარესთან. ოქტომბრის 5 სტოკსმა ინახულა სომეხთა პატრიარქი ეჩმიაძინში და იმავე დღის ღამის 12 საათზე გაემგზავრა ყარსისაკენ, სადაც მეორე დღის დილის 9 საათზე მოვიდა. ყარსში უმაღლეს კომისარს მოლაპარაკება ქონდა სამხედრო მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელებთან და დაათვალიერა სიმაგრეები სარაყამიშის მიმართულებით. ამავე დღეს საღამოს პოლკოვნიკი სტოკსი ტფილისისაკენ გამოემგზავრა. პოლკოვნიკი სტოკსი საქართველოს მთავრობის მიერ დათმობილ მატარებლით მოგზაურობდა.

— **ლტოლვილები სომხეთიდან.** სომხების ეროვნულ საბჭოს ახალქალაქიდან დეპეშით აუწყებენ, რომ არტაანის რაიონიდან იქ ჩამოვიდა 800 ლტოლვილი, რომლებიც ორი დღით გაჩერდნენ ახალქალაქში. საჭიროა მატერიალური დახმარება და სასწრაფო განკარგულება სად გაიგზავნონ ლტოლვილები.

— **ნავთი თბილისისთვის.** ქალაქის სასურსათო ნაწილის მოთხოვნილებისა მებრ რკინის გზის სამმართველომ ხაშურიდან თბილისში უკვე გამოგზავნა 15 ქვაბი ნავთი. რიგს გარეშე კვლავ გაიგზავნა 15 ცისტერნა, რომელიც ჩამოვა ტფილისში 8 ღვინობისთვეს.

— **ლტოლვილი სომხები,** კავკავიდან თბილისს ჩამოვიდნენ 200 სულამდე ლტოლვილი ყველანი უკვე გაიგზავნენ სომხეთში.

— **ლტოლვილი ბერძნები.** 8 ღვინობისთვეს სანაპიროდან ბათომს გაიგზავნენ 800 ლტოლვილი ბერძენი სამშობლოში გასამგზავრებლად.

## ს. დ. პ. მთ. კომიტეტის ცნობები.

**კომიტეტის სხდომა.**

დღეს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. განსახილველია საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. წევრები აუცილებლივ უნდა დაესწრონ.

## სტუდენტ. და მოსწ. მთავარ კომიტეტის ცნობები.

**საფაკულტეტო გამგეობათა კრება.**

კვირას, ოქტომბრის 10-ს, ღამის 7 საათ. პარ. მთავარ ბიუროში დანიშნულია სახელმ. უნივერ. საფაკულტეტო გამგეობათა და პოლიტეხნიკურის წარმომადგენელთა კრება.

გამგეობათა ყველა წევრი და პოლიტეხნიკუმის წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან აუცილებლივ დაესწრონ.

## ნ. აზიანის
## პატარა ფელეტონი.

**კითხვა-პასუხი.**

პატარა დათა მეტისმეტად ცნობის მოყვარე ბავშვი იყო: ყველა გაუგებარ სიტყვას ამოსწერდა ხოლმე გაზეთ-წიგნიდან და ხან მასწავლებელს ხან დედ-მამას სთხოვდა მათს ახსნას. აი ეხლაც, მთელი სია, მისთვის გაუგებარ სიტყვებისა შეარბენინა მამის კაბინეტში და, პანტასებრ დააყარა მამას კითხვები:

შვილი მამა, მამილო, ,,თვით... გამორ...კვევა'' რა არი?

**მამა** ,,თვით გამორკვევა'', გენაცვალოს მამა?.. აბა როგორ აგიხსნა?... ეგა, შვილო, როცა მათ ბალშევიკები ყბაში გაარტყავენ ხოლმე, მაგალითათ, სომხებს, ან ქართველებს, ეგ ერები თვითონვე უნდა მოვიდნენ გონს და გამოერკვიონ... იმიტომა ჰქვიან ,,თვით გამორკვევა''

**შვილი.** ხო...ო; ახლა კი მესმის!.. ,,იმ..პერი... ალიზმი'' რაღა არი, მამაჩემო?

**მამა** ,,იმპერიალიზმი'' შვილო, ის არი, როკა მე, მაგალითად, ,,კამფეთი'' მიჭირავს და გამომგლეჯს ვინმე...

**შვილი** თუ შენ გამოგლეჯ?

**მამა** ეგ იმპერიალიზმი აღარ იქნება... მაგას ,,სოციალიზმი'' ჰქვიან, გენაცვალოს მამა. ამიტომ ეცადე, შვილო, რომ არავინ არაფერი წაგლიჯოს და, პირიქით, ყველას შენ დაასწრო და წაგლიჯო...

**შვილი.** (მუქარით) ოჰ და, დამაცა დოს ჩვენ მეზობლიანთ კოტემა! იდ... ,,იდეალები'' რაღას ნიშნავს?

**მამა** გაზაფხულის ჩიტებია, გენაცვალე... საშინლად უყვარდათ შენებრ ახალგაზრდა ბიჭუკებსა! მხოლოდ ეგ არი, ამ ბოლო დროს რაღამაც გაავლო მუსრი და აღარსადა სჩანან... დიდი ხანია აღარ მოფრენილან, ალბად სუსხიანმა დარებმა თუ დააშინათ....

**შვილი.** პრი... ,,პრინციპები'', მამილო, რა არი?

**მამა.** ეგა, შვილო, მძიმე ბარგია, რომელიც გაჭირვების დროს, თუ მეტადრე რამეს საშოვნელად მიდიხარ შორეულ გზას, აღელვებულ ზღვაში და სხვა.., იმ წამს უნდა გადისროლო და მოიშორო თავიდან, თორემ ჩაგძირავს და დაიღუპები!

**შვილი** ხო...ო, ახლა კი მესმის! კიდეც იმიტომა სწეოენ ხოლმე მენშევიკ-ბალშევიკები ერთმანეთზე: ,,პრინციპები იქით მიაგდეთო'',...

მამა! ბალშევიკ მენშევიკები ხომ წინად ძმები იყვნენ და რაღათ გაწყრნენ? ან რათა ჰქვიანთ: ,,ბალშევიკ'', ,,მენშევიკ?'' რომელი უფრო დიდია იმათში?

**მამა** ჰაი, ჰაი, ბალშევიკები! იმათ გადააჭარბეს მენშევიკებს ჭკუაში და კიდეც იმიტომა ჰქვიანთ ბოლშოი...... ისინი ეხლავე თხოულობენ ყველაფრის დატაცებას, მენშევიკები კი ეუბნებიან: ,,დაიცადეთ, რეკვიზიციითაც მოვასწრებთ მაგასაო'',....

**შვილი.** მერე, თავის დღეში აღარ შერიგდებიან?

**მამა.** ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წავა საქმე...

თუ საერთო გაჭირვება დაადგათ და იმათზე მძლავრი მგელი გამოვარდა, ძალიანაც ჩაეხუტებიან ერთმანეთს!..

**შვილი.** ,,და... მოუკიდებლობა'' რაღა არი?

**მამა.** ეგა, შვილო, საფარია, სიცოცხლის დამცველი... წინანდელ დროში მეომრები ხმარობდნენ, რომ თავი გადაერჩინათ მტრის ტყვიისგან...

ომი გათავდებოდა თუ არა, იმწამს მ იხსნიდნენ ხოლმე...

**შვილი.** ქემალ-ფაშა ვიღა არი?

**მამა.** (შეხტება და შემოტრიალდება) როგორ არა გრცხვენიან?! ბავშვი ხარ, მაგრამ ეგ არ გეპატიება! როგორ, ქემალ-ფაშა არ იცი, ვინ არი?! სულ ერთია, რომ პურის სახელი არ იცოდე! ქემალ-ფაშა არის სახელგანთქმული სოციალისტი—პირდაპირი მემკვიდრე დიდი მარქსისა, რომელმაც ამოღენა სიკეთე მოუტანა მთელ დედამიწას და მეტადრე რუსეთს! ხომ გაგიგონია, რომ ამ შიმშილობის დროს მარტო რუსეთია გამძღარი და იქამდინ ყიჟყიჟი მოს დის, რომ ლამის ლენინიც უკან არწყიოს და ყველა ურიებიც!..

**შვილი.** ,,სპე...სპეკულაცია'' რაღა არი, მამა?

**მამა.** რევოლიუციის პირმშო შვილია... მაგრამ ,,ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო'', ხო გაგიგონია? ისე გაუტეხა მშობელს სახელი, რომ ესეც სასიკვდილოთ არ ინდობს...

**შვილი.** ,,სატარიფო პალატა'' ვიღა არი?

**მამა.** სწორედ ის არის, რომელსაც სპეკულიაცია წამ და უწუმ ბუბნის!

უკანასკნელად ისე ეცემნა, რომ ის უბედური სიკვდილის პირზე გდია!

აღარ იციან, როგორ მოასულიერონ...

**შვილი.** ,,ბიუდ...ჯე...ტი'' რაღა არი, მამილო?

**მამა.** სახელდახელოთ აშენებული ლობე ხუხულა, რომელსაც ყოველი ლორი, ნახირი ადვილად გადმოგინგრევს და სულ მოგიჭამს—მოგიჭამს ბოსტნეულობას, ბაღს,..

**შვილი.** ,,კამისარი'', მამილო, ყველაზე უმფროსია, არა?

**მამა.** ხო, საქმით ევრე გამოდის.,.

თუმცა თავმჯდომარე ყველაზე უმფროსათ ითვლება, მაგრამ თუ კომისარმა არ მოისურვა, თავმჯდომარის ყველა ,,ბრძანებები'' ,,ენუქას ანდერძათ'' დარჩება... მაგრამ... კარგი, შვილო, ზოგიც კვლავ იყვეს... დავიღალე, კრებაზე მეჩქარება...

ხვალინდელი დღე ხომ კატას არ შეუჭამია?

## ვიქტორ ნაკაშიძის ჩამოსვლა.

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ვიქტორ ნაკაშიძე. მთელი ამ ადამიანის ცხოვრება პირდაპირ მოწამეობრივია. პირველად იგი დაჭერილ იქმნა ეგრედ წოდებულ ,,ნაროდოვოლების'' საქმის გამო, რომელთაც 1887 წელში ბრალდებოდათ მეფე ალექსანდრე მესამის მოკვლის განზრახვა. ციხეში ნაკაშიძე სხვებთან ერთად დიდხანს არ ყოფილა, როგორც იყო, თავი დააღწია. გაიქცა საზღვარგარედ, მაგრამ საფრანგეთშიც დაპატიმრებულ იქმნა 1890 წ. რუს ტერორისტებთან საქმეში გარევის გამო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი შეუდგა ფართო პროპაგანდას კავკასიის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. ამ მიზნით იგი სცემს მთელს რიგს ჟურნალ-გაზეთებისას, სწერს საზოგადოთ მთელი კავკასიის შესახებ, განსაკუთრებით კი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მაგრამ რადგანაც თვითმპყრობელ რუსეთის გავლენა ფრიად დიდი იყო ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის, ვ. ნაკაშიძესაც არა ჰქონია მოსვენება და დევნაში მოჰქანცეს იგი. იგი გაეცნო ესპანიისა, საფრანგეთისა თუ სხვა სახელმწიფოთა ციხეებს. უკანასკნელად იგი დააპატიმრეს ისევ საფრანგეთში მსოფლიო ომის პირველ ხანებშივე და სამხედრო ციხეში ამოაყოფინეს თავი, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მხურვალედ გაილაშქრა ომის წინააღმდეგ.

1917 წ. გადატრიალების გამო დროებითმა მთავრობამ წინადადება მისცა ვ. ნაკაშიძეს სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ მან უარი განაცხადა. მიზეზი? ,,მე მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში დავბრუნდებიო!'' და... მართლაც, იგი მხოლოდ განთავისუფლებელ სამშობლოში დაბრუნდა...

## თეატრი და მუსიკა.

,,სევილიელი დალაქი''. არის ,,კარმენ'' და არის ,,სევილიელი დალაქი''. ერთსაც და მეორესაც ის თვისება აქვს, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის თუ რა არის მოწყენა. თეატრისათვის ეს ყველაფერია. ,,კარმენში'' არის სიცოცხლის ტემპერამენტი თავის თავად მზით აპრიალებულ ხმალზე ათამაშებული. ,,სევილიელ დალაქში'' არის: სიხალისე, სიხალისე და სიხალისე. იტალეთის ცის ქვეშ ძალიან ძნელია რუხი მელანქოლია. ათვისება ცხოვრების იქ სიცოცხლის ,,სიადვილებია''. იქ თვითონ ცხოვრება თამაშია ნამდვილი. სიყვარული ,,ადვილი'', ავანტიურა ჰუმორული, ყველაფერში სიცილში.

შვიდს ოქტომბერს კიდევ გაგვახალისა ,,სევილიელმა დალაქმა'', მსმენელთათვის ცხოვრების სიმძიმე გაჰქრა და სილაღეს სიცილის ანავარდებდა. კარგი იყო პოლიაევი (განსაკუთრებით მაღალსა და დაბალს რეგისტრებში), კარგი იყო ზალიპსკის ლითონიანი ხმა, მშვენიერი იყო დემიანენკო, მოხდენილი იყო ისეცკი (ოდნავი შარჟი). როზინას ამსრულებელს არ აქვს მაგარი ხმა, მაგრამ მთელი მისი ფიგურა აკეკლუცებულია

დადგმის მხრით მეტად თვალსაჩინოა პირველი აქტის დეკორაცია: სევილიის სახლები და ქუჩები.

ბ. ბ.

— **ქუთაისის თეატრი.** ქუთაისში დიდი მზადებაა მომავალ სეზონისათვის დასი შედგენილია უმთავრესად ახალ ძალებისგან და მათ დამამშვენებლად მოწვეულია დამსახურებულნი მსახიობნი ჯავახიშვილი, ანდრონიკაშვილი ელო გუნია ვალერიან და სხვა დასის ხელმძღვანელთ მოწვეულია შალვა დადიანი. რეპერტუარი შესდგება როგორც ძველ ის ახალ პიესებისგან რომელთა შორის 24 ისეთი პიესაა, რომელიც ჯერ ქართული სცენის რამპას არ უხილავს. მზადდება ეხლავე დეკორაციები ფართოვდება სცენა, ფოიე და სხვა ესეთი წვრიმალნი გაუმჯობესებანი.

სეზონი დაიწყება ოქტომბრის 20-ს

— **სონატების საღამო.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება სონატების საღამო პიანისტ ა. კ. ბოროვეკისა და ვიოლონჩელისტ ე. ი. ბელოუსოვისა. საღამო ბეთჰოვენის სახელობაზე და შესრულებული იქნება მხოლოდ ოთხი სონატი როიალსა და ვიოლონჩელზე.

— **მ. მორდკინის ჩამოსვლა.** ყირიმიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მსახიობი და ბალეტმესტერი მ. მორდკინი. იგი ერთი უშესანიშნავესი წარმომადგენელია ხორეოგრაფიულ ხელოვნებისა მთელს ევროპაში. პარტნერშათ ეყოლება ბრონისლავა ოჟიცკაია.

## ქართულის გარშემო.

**წერილი პირველი.**

ჩემს საპასუხო წერილში მე ნათელვყავ კონკრეტულად, თუ რას წარმოადგენს მარუთა შუამდინარელი როგორც მწერალი. სასაცილოდ იღებდა სიტყვას ,,გაიარს'' ჩემ მიერ ხმარებულს ,,სალომეს'' თარგმანში. მე დავუმტკიცე მას, რომ ეს სიტყვა ჩემ მიერ შემოღებული არ არის ქართულს ლიტერატურაში, რომ იგი ხმარებულია ჩემამდე ისეთი დიდი ეპიკოსის მიერ, როგორიც არის რუსთაველი, ისეთი მცოდნეს მიერ ქართულისა, როგორიც არის სულხან-საბა ორბელიანი, ისეთი გულისხმიერი ლირიკოსის მიერ, როგორიც არის ნიკო ბარათაშვილი.

თავის საპასუხო წერილში მარუთა შუამდინარელი უკვე აღარს ამბობს „გაიარს“-ის შესახებ. რასაკვირველია: ასეთი შეცდომის დაშვების დროს მას გაჩუმება ურჩევნია. სამაგიეროთ მას მოჰყავს სხვა მაგალითნი თითქო ზადა, სტურებელნი ჩემი ქართულის უვარგისობისა. თავითგანვე უნდა განვაცხადო, რომ მე არავითარი სურვილი არა მაქვს მარუთასთან კამათისა: რადგან იგი ჩემთვის როგორც მწერალი არ არსებობს. მაგრამ ერთი რამ არის ყურადსაღები: შუამდინარელი დამახასიათებელი მოვლენაა ქართული ლიტერატურის თანამედროვე ვითარებისა. ამას კი საჭიროა ანგარიში გავუწიო.

მე ვეცდები ყოველი მისი ბრალდება უარვყო კონკრეტული მაგალითებით ქართული კლასსიკური ლიტერატურიდაგნ. ამ ცდაში ვიმედობ მივაღწიო ორს მიზანს: ერთი: ნათელი იქმნება ყველასათვის, თუ ვისთან გვაქვს საქმე, როცა მარუთა შუამდინარელზე ვლაპარაკობთ, —და მეორე (—რაც უფრო საინტერესოა): დაისმის მრავალი პრობლემა ქართულისა, რომელიც საჭიროებს აკადემიურს გადაწყვეტას.

თავის თავად ცხადია შემდეგიც: ჩემს წერილებში მე ვერ ჭყვები მარუთას იპოლემკურ კილოს, რადგან ლანძღვით ამეტყველებაში მე არავის ვეჯიბრები—და მით უმეტეს მარუთას. ვეცდები არ ვუღალატო წმინდა აკადემიურს კილოს.

დავიწყებ უბრალო მაგალითით, ფრიად დამახასიათებელით. ჩემს თარგმანში მე ვხმარობ სიტყვას ,,ვეცხლი“. მარუთა შუამდინარელი ,,ლეილაში'' ასეთი დაცინვით ეგებება სხვათა შორის ამ სიტყვას: „ან აბა რა ქართულია: „ვეცხლი“ (და სხვა).

ვნახოთ: ვის აქვს უფლება დაცინვისა. ვინც მე ფუტურისტს მეძახის, მან მაინც უნდა იცოდეს საქართველოს წარსული და უნდა აფასებდეს მას. მარუთა შუამდინარელმა ალბად არ იცის, რომ ამ დაცინვით იგი მე კი არა დამცინის, არამედ მთელს ქართულს ლიტერატურას. აი საბუთებიც.

საცინელი და საკიცხელია „ვეცხლი“?

ავიღოთ ჯერ სიგელები და გუჯრები, რომლებიც ატარებენ ძველი სამეფოს მიერ გამომუშავებულს ტერმინოლოგიას. საეკლესიო მუზეუმის სიგელი № 169: „ვეცხლის ბარძიმი“; „ტაკუკი ვეცხლისაი'' (ასოს უქონლობის გამო უკანასკნელი „ი“ ჩასთვალეთ აქ და ქვემოთ ნახევარ მარცვლად); ,,ხატი ვეცხლისაი'' და სხვა.

გუჯარი დავით კურაპალატისა მცხეთისადმი 1020 წ.: ,,შევამკევ ყოვლითა სამკაულითა ოქრო და ვეცხლითა და შევსჭედე წმ. საკურთხეველი ოქროითა და ვეცხლითა''; ,,წმიდაი ესე სამარტვილოი ოქროითა და ვეცხლითა''; ,,საცეცხლურნი დიდნი ვეცხლისანი''; ,,ზამთარი და ზაფხული (საეკლესიო წიგნებია) ვეცხლითა შეკაზმულნი ღილკილთა ვეცხლითა ორნი''; ,,საწიგნენი ვეცხლით ცურვებულნი'' და მრავალი სხვა.

საეკლესიო მუზეუმის სიგელი №507: ,,ქ. ხატი კოლობნისა ვეცხლისა'';

,,ბარძიმი ვეცხლისა“; ,,ფეშხუმლისა“; „ხატი ვეცხლით მოჭედილი“; „ვეცხლის ხატი“; „სასანთლე ვეცხლისა“; „ვეცხლის თეფში“; ,,ვეცხლის ჯვარი“; ,,ვეცხლის ღილებით ; ,,ვეცხლის ალთაფა'';

სიგელი №97: ,,ძელი ვეცხლისაი''; ,,ხატი ვეცხლისა''; ,,ვეცხლის კოვზი''; ,,ნალბაქი ვეცხლისა''.

მალაქია კათალიკოსის (1531—1549). გუჯარი სვეტიცხოველისადმი: ,,ხატი მაცხოვრისა ვეცხლით მოჭედილი''. ,,ხატი ნათლისმცემელისა ვეცხლით მოჭედილი ''; ,,ორნი ხატნი წმინდათა მთავარ ანგელოსისანი მიქელ და გაბრიელისანი ვეცხლით მოჭედილნი''; ,,ორნი ხატნი პეტრესი და პავლესი ვეცხლით მოჭედილი'';

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო-

მღვიმისადმი მიცემული 1123 წ.: ,,ოცდა ათი ლიტრაი ვეცხლი წმინდისა არსენისა ხელთ-არს''; ,,ვანის ქუაბთა მაცხოვრის ხატს ერთი საკელაპტრე ვეცხლით შეჭედილი''; ,,ერთი ვეცხლისა კანდელი'' (იხ. თ. ჟორდანიას ,,ანდერძი დავით აღმაშენებელისა'').

გადავიდეთ სასულიერო მწერლობაზე. წიგნი—,,სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედამოსვლისაგან'' 1042 წ. პერგამენტზე ნაწერი: ,,წინა დაუსხეს მას ოქრო და ვეცხლი''.

,,ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისაი'': ,,ხოლო ვეცხლი''; ,,მძლავრმან ყოველნივე სამღვდელოთა ჭურჭელნი ოქროისა და ვეცხლისანი აღიხუნა''; ,,განიმრავლე ვეცხლი''.

სახარება მათესი 26,15: ,,ხოლო მათ მიუწონეს ოცდა ათი ვეცხლი''; იგივე 27,2: ,,და მიაქცია ოცდა ათი იგი ვეცხლი''; იგივე 27,5: ,,და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა შინა''.

ფსალმუნი დავითისა: ,,ვეცხლ გამოხურვებული'' (ფსალ. 11); ,,ვეცხლი მისი არა მისცა'' (ფსალ. 14); ,,ვეცხლით მოსილ'' (ფსალ. 67); ,,და გამოიყვანნა იგინი ოქროითა და ვეცხლითა'' (ფსალ. 104).

,,ქებათა ქება'': ,,ქმნილებასა ოქროისათა გამსგავსეთ შენ და წულილად დამჭულსა ვეცხლსა''.

ავიღოთ ძველი ქართული ფული: თამარის 1187 წ. და ლაშა გიორგის 1210 წ. აწერია: ,,სახელით ღვთისათა იქნა ჭედაი ვეცხლისა ამის''.

,,ვეცხლსა'' ხმარობს: შავთელი, სარგის თმოგველი. თეიმურაზ პირველი და სხ.

,,ქართლის ცხოვრება'', ტ. მეორე, გამოცემა ჩუბინაშვილისა: ,,და მიულოცეს და გარდააყარეს ოქრო და ვეცხლნი'' (გვ. 80); ,,მაშინ მეფემან წარუვლინა (იბ) ჯორი კიდული ოქროვეცხლითა'' (გვ. 85); ,,და გარდაახდევიან ვეცხლი დიდ-ძალი'' (გვ. 89).

ვახტანგ მეექვსე: ,,ვეცხლი ხურმანდილმა წაიღო'' (გვ. 53, გ. ნასიძის გამოცემა); ,,რომელთა ძირსა ვეცხლი დამარხულ იყო'' (გვ. 48); ,,ეს ვეცხლი მივიყოთ'' (გვ. 47).

დავით გურამიშვილი: ,,ოცდა ათ ვეცხლად გაყიდეს'' (დ. გურამიშვილი, გვ. 17, 1881 წ. გამოცემა).

სულხან-საბა ორბელიანი: ,,საბა ორბელიანის მოგზაურობა'' (,,ცისკარი'' 1852): ,,ლიტრა ვეცხლი იყო''; ,,ლუსკუმა სულ ვეცხლისა დაფერილი. და ზედა მისი სახე ვეცხლისა გამოყვანილი''; ,,ქალაქების სახე ვეცხლისა''; უცხოდ ნაქმარი, ვეცხლი მინანქრად"; ,,ზოგი ოქროსა, და ზოგი ვეცხლისა; ისინი სულ ვეცხლის ტრაპეზზე''; სულ ვეცხლის თავეთი ნაწილი'';

აღარ არის საჭირო მაგალითების მოყვანა მეტი. მე მსურს მხოლოდ, რომ ამ მაგალითების შემდგომ მკითხველმა (განსაკუთრებით ქართულმა მწერლობამ) ყურადღება მიაქციოს მარუთა შუამდინარელის დაცინვას: ან აბა რა ქართულია ,,ვეცხლი'',—და თვითონვე გაუკეთოს დასკვნა: მე დამცინის იგი, თუ დიდი კულტურის ქართულ ლიტერატურას.

ამის შემდეგ რომ სთქვა, რომ ასეთს მწერალს ქართულ ლიტერატურაში ადგილი არ უნდა ჰქონდესო,—პირადს ანგარიშებში ჩამოგართმევენ. რა გაეწყობა: საქართველოში ასეთი კურიოზი ჯერ კიდევ არის შესაძლებელი.

ასეთივე ფასი აქვს მის სხვა ,,საბუთებს''.

გრიგოლ როგაქიძე

## ქართული საეკლესიო გალობა

ქართული საქრისტიანო კულტურა ისეთი სივრცეგანუზომელი და დიადი რამაა, რომ ღირსია უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული კათედრები არსებობდენ და კულტურის შესასწავლათ! ფასდაუდებელი რამ განძია იგი ან იმით სამართლიანად იამაყებდა ყოველი განათლებული ერი!.. და ჩვენთვის ეს კულტურა იმდენათ მრავალმნიშვნელოვანი და დიადია, რომ ვთქვათ, ის რომ ამოიშალოს ჩვენი ისტორიიდან, იქ აღარაფერი დარჩებოდა გულსაწყვეტი! ბევრი რომ დავკარგეთ ამ ძვირფასი განძიდან, რაც გადარჩა და ჩვენამდი მოაღწია, იმას უნდა შეელა და მოვლა! ამ მხრივ დიდს შრომას ეწევა ჩვენი საისტორიო საზოგადოება. დიადია ამ საზოგადოების ღვაწლი და მისი სამოქმედო ასპარეზიც ვრცელია, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ამ ჟამად ერთ რამეზე მივუთითოთ. დარწმუნებული ვარ, რომ არც ეს ,,ერთი რამე'' დავიწყნიათ ჩვენს მკვლევართ, მაგრამ მე ჩემსას მაინც ვიტყვი. მე მოგახსენებთ ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ.

სპეციალისტები ამოწმებენ თუ როგორი მაღალი ღირსებისაა ეს გალობა, ჩვენს ქვეყანაში ამ დარგს თავისი გულშემატკივრები ჰყავდა და, ღვთის მადლით, ახლაც არიან ასეთები, მაგრამ ნივთიერი საშუალება არც ერთს მათგანს ხელს არ უწყობს თავისი გულშემატკივრობა ამ საქმისადმი დარსებულათ დაავეირგვინონ.—ვის არ ახსოვს ახლოწარკვეთილი მოწოდებანი ამ საქმის გამო ძმათა კარბელაშვილებისა, დეკ. რაჟდ. ხუნდაძისა და სხვათა, მაგრამ მათი ხმა ცდემდი რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნისა შინა! არ მოგვეტევება ასეთი უგულობა! იკარგება და ისპობა დიდი კულტურული განძი! ბევრი რამაა დასაწერი და მცოდნეები ზოგი გარდაიცვალა უკვე, ვინც კიდევ დარჩა, ყურადღებას არავინ აქცევს! აი, ეხლაც გელათის მონასტერში ცხოვრობს ბერი ევთიმე კერესელიძე, რომელსაც სიყმაწვილითვე ამ საქმის დიდი სიყვარული ჰქონია, და მერე იცით, ამ სიყვარულს რა განძი შეუკრებია და დაუწერია?! გამოჩენილ მგალობელთაგან—დ. ჭალაგანიძის, ანტ. დუმბაძის, რაჟდ. ხუნდაძის, ილწე. რეთლის, მელქ. ნაკაშიძის, კანდელაკებისა და სხვებისაგან გადმოცემული 27 დიდ ტანიანი წიგნი აქვს დაწერილი ზოგი ცალხმაზე, ზოგიც გაწყობილი სამ ხმათ! მ. ევთიმეს აქ შეუკრებია 9500 სხვა და სხვა საგალობელი, რავა ხმანი სამწუხრო—საცისკროები. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ქართველ წმინდათა ტროპარ—კონდაკები და მთელი საგალობლები გამართული! ეს ამდენი განძი უწყვია მ. ევთიმეს, დასტრიალებს მას თავზე და ელის.. ვის? ყველას, ვისაც გული შესტკივა და რათმე ულირს ქართული კულტურა და მამათა ღვაწლი!—ქართული საისტორიო საზოგადოება, საქართველოს საკათოლიკოზო, კერძო შეძლებული პირები, დამფუძნებელი კრება, საქართველოს მთავრობა... ,,არ ვიცი, კიდევ უნდა მივმართო!''—შემომჩივლა ამის წინათ მ. ევთიმემ. მიიღეთ ეს განძი, დაბეჭდეთ, იზრუნეთ მისთვის, რომ არ დაიღუპოს თქვენი სახელიც ადიდეთ და სამშობლოცაო!

ნეტავი თუ ვინმე გამოჩნდება, რომ შეისმინოს ამ ჩვენი თანამედროვე მიქაელ მოდრეკილისა!

დ. ო—ძე.

# ჩვენი კორესპონდენტები

## თუშეთი.

1920 წ. თიბათვეს დაარსდა სანაპირო თუშეთის განყოფილება ასეთი განყოფილების დაარსება საჭიროაეს, განყოფილება იგივეა რაც სხვა რეგულირული ჯარი პატარა განსხვავებით. აქ უთავრესად თუშები არიან ჯარის კაცებად. ესეც მიზნშეწონილია რადგან განსაკუთრებული პირობები, რომლშიდაც უხდებათ ჯარის კაცებს სამსახური, საზვერავზე თუშებს უფრო ადვილათ შეუძლიანთ აიტანონ. სხვებისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს ბუნებით სიმკაცრე. სიძნელეს წარმოადგენს აგრეთვე უქონლობა ტანისამოსის და ფესაცმელი აქ მთელი კვირობით და ხან თვეობით უხდება ჯარის კაცს ცდა და წვიმის ქვეშ ყოფნა. საჭიროა ნაბადი, წინდები და სხვა რასაც ადგილობრივი მცხოვრები თავისას ხმარობენ

რაზმის უფროსის დაუდევრობით უნდა აიხსნას ალბათ ის გაჭირვება) რომელსაც იტანს აქ ჯარის კაცი. ფეხზე უმრავლესობას თავისი აცვია. ბევრი ფეხშიშველაც რჩება.

საზრდოს მხრივაც ვერ არიან უზრუნველ ყოფილნი. შარშან აქ მდგომ მე 6 ათასეულს პური აუკრეფია სოფლებიდან და ფული არ გადაუხდია. ეხლა ჩვენ აღარ გვინდობიან გლეხები, თუ ფულს წინდაწინვე არ მივცემთ, განყოფილების უფროსი კი მიუხედავად მრავალი მიმართვისა რაზმის უფროსისადმი ფულს არ იღებს და ჯარი შიმშილის მოლოდინშია.

საზამთროდ არაა გამორკვეული თუ რა შემადგენლობა დარჩება მთაში. უმჯობესი კი იყო რომ მეტი რიცხვი დარჩენილიყო, მაგრამ სურსათი სულ არ აქვს შტაბს და ალბათ განყოფილების უფროსის პროექტის მიხედვით დატოვებენ ადგილობრივ მცხოვრებთ საკუთარი საკვებით. თუშეთის განყოფილებაში არიან ჯარის კაცები 1896 დაბადებულნი რომლებიც არ განთავისუფლებულან 1919 წელს და დღესაც მსახურობენ. ალბად ესენი იმსახურებენ თიბათვეში მოსულებთან და 16 თვე სამხედრო სამსახურისას ალბათ ორჯერ შეასრულებენებს მათ სიცლისნ რაზმის უფროსი.

მიუხედავად ყოველგვარ გაჭირვებისა უნდა ითქვას ჯარისკაცთა სასახელოდ რომ სამსახურს პირნათლად ასრულებენ. დისციპლინა შესანიშნავია. კულტურული მუშაობა ნაკლებია ჩვენს განყოფილებაში. ინსტრუქტორი არ მოსულა. ჟურნალ გაზეთები 15-20 დღით გვიან იკითხება. წერა კითხვის უცოდინარი თითო-ოროლა თუ გამოიძებნება თუშჯარისკაცებში. აუცილებელია მომავლისთვის მოეწყოს მაძრავი სამკითხველო და ლექციები.

განყოფილების პუნქტები სდგას ქისტებისა და დიდოების საზღვარზე. დიდოები მშვიდათ არიან, ქისტები კი წრიულსაცეროისვენებენ. თუმცა ყაჩაღობა არ მოსპობილა, მაგრამ ჯარის ყოლამ დიდი გავლენა იქონია ქისტებზე. ისეთი მასიური დაცემა როგორიც წინად იყო აღარ ხდება. ამ ჟამად ჩვენსა და ქისტებს შუა გადიდებულია „ნეიტრალური ზონა". მთის ქისტებთან არ შეიძლება არ მოვიგონოთ ბარის კანკისის ქისტები, რომელნიც ხელს უწყობენ თავიანთ მთის ამხანაგებს. აქ თითქმის ყველა შეარაღებულია. ძალიან ბევრია არა საიმედო პირი, რომელიც გვარდიის სახელით ატარებს იარაღს.

აქ ადგილობრივი გლეხი იკარებს კიდეც პურსა და ქერს. აქვს სანოვაგე: ერბო, ყველი, ხორცი, აკლია მხოლოდ ფართალი, რომელსაც ელის ბარიდან. აქ ხალხი იცხოვრებდა სრულიად მშვიდობიანად რომ ქისტები არ აწუხებდენ. ყველა სოფლები შემოგვჩივის, თავი არ დაგვანებოთ მათ და მთავრობამ უშველოს. ყველას კი აქვს იმედი მთავრობისა, თუმცა მთავრობას მაინც სიტყვით მათთვის არ სცალია. ქისტების შიში თაა, რომ ხალხი სისტემატიურად თავს ანებებს მთას და ბარისკენ მიეშურება. ბევრია იმის მომხრე, რომ განიარაღდეს, მიიღოს მიწა კახეთში და მიჰყვეს მშვიდობიან ცხოვრებას, ხალხი ვერ სთმობს მთას და მ უწოდებს ხალხს არ დასტოვოს თუშეთი და დარჩეს მამაპაპათ სამშობლოში. სიმართლეა რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთი ერთად ერთი კუთხეა საქართველოსი, სადაც ადგილი არ ჰქონია მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას და ბოლშევიზმს, მიუხედავად იმისა რომ ბოლშევიზმი ზურგზე აკრავს დაღესტნის მხრიდან. აქ ხალხი ზვიადია და დაკვირვებული. მათ სწამთ საქართველო როგორც ასეთი. აქვთ ძველი ტრადიცია მისი მორჩილებისა, და არც მოქმედობენ მის წინააღმდეგ. ამ ხალხს ბედმა არგუნა რკინის სარტყლად შემორტყმოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს და აკი პირნათლად ასრულებენ თავიანთ ხვედრს. საჭიროა მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მხარეს და მისცეს მას დახმარება მიუხედავად იმისა რომ იგი არ წუწუნებს, რადგან არ შეეფერება ეს მის ბუნებას. სწავლა განათლების საკითხი თუშეთისთვის არ არსებობს. არ არსებობს არც ერთი სკოლა. ამ ნაკლის შევსება ადვილია ზაფხულობით 3 4 თვიანი სასწავლებლების დაარსებით.

ჯარისკაცი.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო თალ-ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოხ (საპ) კვლევ მ ლეინის შეხაპუნებით. ცხვრის სახულე—მელის ავათმყოფობას ვ ქიმობ „ნე მანის და ვესსელ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.

**სამკურნალო**

ელექტრონის რენტგენის და სინათლ

**მიხეილ გედევანიშვილის**

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 სა არის საწოლები. ყოლონოვის ქ., ვერაზე. 3102.

## მატარებლის მიმოსვლა

### თბილისიდან მიდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომამდის | № 17 | 7. |
| ბორჯომში ჩადის | | 2. |
| ფოთამდის | № 3 | 9. |
| ფოთში ჩადის | | 10. |
| ბორჯომამდის | № 19 | 2. |
| ბორჯომში ჩადის | | 8. |
| ბათომამდის | № 17 | 8. |
| ბათომში ჩადის | | 9. |
| ბათომამდის ჩქარი | № 5 | 11. |
| ბათომში ჩადის | | 11. |
| თელავამდის | | 8. |
| ქუთაისამდის | № 9 | 9. |
| ქუთაისში ჩადის | | 6. |
| სანაინამდის | | 1. |
| სალ-ოღლამდის | | 10. |

### თბილისში მოდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომიდან | № 20 | 12. |
| თბილისში მოდის | | 6. |
| ქუთაისიდან | № 12 | 11. |
| თბილისში მოდის | | 9. |
| ბათომიდან ჩქარი | № 6 | 11. |
| თბილისში მოდის | | 12. |
| ბათომიდან | № 8 | 3. |
| თბილისში მოდის | | 7. |
| ფოთიდან | № 4 | 8. |
| თბილისში მოდის | | 7. |
| თელავიდან | | 7. |
| სანაინიდან | | 11. |
| სალ-ოღლიდან | | 4. |

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ. კედ

## მეფის ოჯახის მკვლელობა.

(გერ. ჰარტმანის წერილიდან).

გაზ. ,,Ялтинскій вечеръ''-ში რუსეთის იმპერატორის ოჯახისა და გვარეულობის მკვლელობის შესახებ მოთავსებულია შემდეგი წერილი:

,,სამხრეთ რუსეთში დღესაც არ სჯერათ იმპერატორის, მისი ოჯახისა და დიდი თავადის მიხეილ ალექსანდრეს-ძის სიკვდილი. აი რატომ მიმაჩნია საჭიროთ გავაცნო ფართე საზოგადოებას ეკატერინობურგში ჩემ მიერ გამოკვლეულის საბუთები და აგრეთვე ის ცნობები, რომელიც გენ. დ-ს, ნაფიცი ვექილის ს-ს და როტმისტრი დ-საგან შემდგარ კომისიის ოქმებიდან ამოვიღე. მათ შორის ს. გამომძიებელი და თავის ხელობის კარგი მცოდნე იყო და მის მიერ შეგროვილი ცნობები, თუ მოწმეების ჩვენება ეჭვს არ ბადებს მეფის ოჯახის სამწუხარო დასასრულში:

ჯერ კიდევ ესერების ბატონობის დროს გენ. ბ-მ საქმის გამოძიება მიანდო ნაფიც ვექილს ს-ს. ის თვითონ მემარცხენეებიდან ისე და შესაფერისად გამოიძია საქმე. მისი მოხსენებები გამოქვეყნდა პრესაშიც, მაგრამ როგორც დაუმუშავებელმა და დაუმტკიცებელმა მასალებმა ბევრი ვერ დაარწმუნა. ესაა მიზეზი მეფის ოჯახის მკვლელობის შესახებ დღეს გამეფებული იჭვნეულობისა. დ ს ნაშრომი კი თავისი დეტალებით იმდენს ნათელსა ჰფენს საქმის მდგომარეობას, რომ ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს.

მკვლელობა მოხდა 1918 წ. ივლისის 16-17-ს ღამით.

მკვლელობამდე ორი თვით წინ დედოფლითა და ერთი ქალიშვილითურთ იმპერატორი ეკატერინობურგში, ჩამოვიდა. ტიუმენამდი ისინი მიჰყავდათ საჰინელ პირობებში ფურგუნზე ურესოროთ და ჩქარი სიარულით. ტიუმენში მესამე კლასის ვაგონში გადაიყვანეს და ეკატერინობურგში ჩამოსვლისას იპატიევის სახლში დააბინავეს.

სადგურზე სამეფო ოჯახს ეპყრობოდენ ერთობ უდიერად, ჯიკიანობდენ დედოფალს, არ აძლევდენ ბარგსა და სხვ. მოთმინებიდან გამოსულ მეფემ სთქვა ,,მე ისეთივე მოქალაქე ვარ როგორიც თქვენა და უფლებაც მაქვს მოვითხოვო ჩემს მიმართ ზრდილობიანად იყვეთო''.

ბოლშევიკური ოფიციალი ცნობებით მეფის ოჯახის დანარჩენი წევრები თით ქო მემკვიდრის ავადმყოფობის გამო ტამბოლსკში დასტოვეს, მაგრამ ს-სა და გენ. დ ს დოკუმენტებიდან აშკარად სჩანს, თუ რატომ მოხდა ეს: ამით უნდოდათ იმპერატორისათვის ბრესტ ლიტოვსკის ზავზე იძულებით ხელი მოეწერინებიათ. ზავზე ხელის მოსაწერად საჭირო იყო მეფის ჩამოყვანა მოსკოვში, ეკატერინობურგი კი ის ეტაპი იყო, სადაც უნდა გამოერკვიათ მოაწერს თუ არა ზავზე ხელს იმპერატორი. უარის თქმის შემდეგ მოსკოვში კი არ წაიყვანდენ მეფეს, არამედ ეს იქნებოდა სიკვდილის განაჩენის გამოტანა.

მეფეს ეს არ უთხრეს.

მაგრამ მეფემ გადაჭრით უარი სთქვა და განაცხადა ორივე ხელის მოჭრის სურვილი ვიდრე რუსეთისათვის ასეთს სამარცხვინო ზავზე ხელს მოაწერდა. ამით მეფემ ხელი მოაწერა თავის სიკვდილის განაჩენსა დარჩა საკუთარი სიტყვის პატრონი რომელიც მან ომის დასაწყისში სთქვა: ხელს მოვაწერ მხოლოდ გამარჯვების ზავსო. შეიძლება ბრესტლიტოვსკის ზავზე ხელმოწერის შემდეგაც მოეკლათ მეფე, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მტკიცე დარჩა და მთელი ოჯახიც შეუერთეს მას იმ მოსაზრებით, რომ ყველა ერთად და ერთ დროს დაეხოცათ.

მოსკოვის კომისრები უარყოფენ თავიანთ მონაწილეობას მეფის მკვლელობაში და აცხადებენ, რომ ბოროტმოქმედება თითქოს მარტო ადგილობრივ კომისრებს ჩაედინოს უმაღლესი მთავრობის ნება დაურთველად. მაგრამ ს—ს აქვს დოკუმენტი, საიდანაც სჩანს რომ მეფის ოჯახის მკვლელობა მოხდა ცენტრალური ორგანოების განკარგულებით.

შემდეგში, როდესაც მეფის მკვლელობამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო უცხოეთში, არამედ ბოლშევიკების წრეებშიდაც, ცენტრალურმა ორგანომ თავისი ბოროტმოქმედება გადასტქვა. უკანასკნელად მკვლელმა იუროვსკიმ, როდესაც მეფის მკვლელობა დიდის ზეიმით განაცხადა მიტინგიდან, ამან აპლოდისმენტები კი არ გამოიწვია, არამედ საძარისებური სიჩუმე ხალხში, რომელიც ერთმა დამსწრეთაგანმა დაარღვია: „სირცხვილი".

ოჯახის ჩამოსვლამდე, მეფის ცხოვრება გვარიანად მიდიოდა იპატიევის სახლში, მას ჰქონდა განსაკუთრებულ საზღვრებში სეირნობისა და შეშის ჭრის უფლება. ოჯახის ჩამოსვლის შემდეგ ცუდათ ეპყრობოდენ. სადგურიდან დაცალკევეს ამალა. ზოგი გააგზავნეს პერმში. გენერლები ტატიშჩევი და დოლგორუკოვი ციხეში; მემკვიდრე დედოფალი, ექიმი ბოტკი და სხვა წევრები ოჯახისა გააგზავნეს იპატიევის სახლში. მათთანვე იყო ექიმი დერევენკო, რომელსაც ნება ჰქონდა კერძო პრაქტიკისა და მკვლელობას არ დასწრებია. ჩამოსვლის დღეს საწოლი არ ჰქონდათ და იატაკზე ეძინათ. იმპერატორს უშლიდენ ბაღში გასვლას. სადილობის დროს თავზე ადგათ ებრაელი კომისრები რომელნიც ბავშვებს პორნოგრაფიულ ანეკდოტებს უყვებოდენ.

მეფეზე და დედოფალზე დაცინვას საზღვარი არ ჰქონდა. მაგალითად, ერთხელ დედოფალმა პირში ჩაიდვა ხორცს ნაჭერი, ამ დროს ზურგიდან მოეპარა კომისარი წაავლო ხორცს ხელი: ეს შენთვის ბევრიაო და თითონ მიირთვა. დედოფალს მარტო არ უშვებდენ საპირფარეშოში, კარებს ღიად სტოვებდენ და აწუხებდენ. ღამით ძილს არ აძლევდენ, შუაღამისას შეუცვინდებოდენ ოთახში ვითომ გასაჩხრეკად; დედოფლის ოთახში. პორნოგრაფიული სურათები დაკიდეს. მცველები იყვნენ მედიარები და ლოთი მუშები, კომისრები ებრაელებისაგან შესდგებოდნენ.

იმპერატორი მიხვდა, რომ მისი სიცოცხლე დათვლილია და ითხოვა ეშინა საეკლესიო წირვა-ლოცვები. ერთხანს უარი უთხრეს, მაგრამ შემდეგ მღვდლები მაინც მიუშვეს. პ. რ. პირადათ ესაუბრა ამ მღვდლებს. მღვდელს აკრძალული ჰქონდა მეფისთვის სალამის მიცემა და ლაპარაკი მაგ. ერთხელ წირვის გათავებისას მღვდელმა გაიარა მეფის ოჯახის გვერდით; დედოფალმა უთხრა ,,გმადლობთ მამაო''. მღვდელმა თავი დაუკრა, რასაც მოჰყვა კომისრების გაბრაზება და რეპრესიები. მღვდელი მაინც არ უშვებდა კარგ შემთხვევებსა და ყოველ საღვთო მოქმედების დროს გულდასმით ათვალიერებდა მეფის ოჯახს. მეფეს სახეზე ემჩნეოდა, რომ მტრების აგან ხსნა არ მოელოდა. ჩამოუშვა წვერი, მოხუცდა სავსებით და ცოცხალი ლეშს დაემზგავსა. მეფეს ჩამოხსნეს ,,პაგონები'', გიორგის ჯვარი, კოკარდა და ჩააცვეს უბრალო ხალათი, დედოფალი უფრო თამამად იყო, არაფერში არ იმჩნევდა სულიერ განცდას და მღვდელის თქმით მტკიცედ იყო, როგორც ყოველთვის, ,,წინად''. მემკვიდრე როგორც ავადმყოფი ისე გამოიყურებოდა, წირვის დროს მას არ შეეძლო ფეხზე დგომა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა ამპერატორის სახე მკვლელობამდე ორი დღით წინ. არ იყო ეჭვი, რომ მას თავისი სიცოცხლის დასასრული გამონგარიშებული ჰქონდა, სიკვდილამდე ორი დღით წინ იმპერატორმა წვერი გაიპარსა, დედოფალმა კი ქალიშვილებსაც თმება დაპარსა; ეს იმიტომ რომ შეაწუხათ ჭუჭყმა და ტანსაბან წყალს კი არავინ აძლევდათ. დედოფალის თმები და მეფის წვერი ნახეს ერთ ერთი ღუმელის მილში.

მკვლელობის ღამეს მეფის ოჯახი გააღვიძეს, გამოუცხადეს,: თეთრები (მოხალისენი) ახლოს არიან, შეიძლება ხელჩართული ომი გაიმართეს ქუჩაში და ამ დროს ტყვია სახლს მოხვდეს. ამიტომ საჭიროა სარდაფში რომ დავიმალოთო. ყველა მოემზადა, ტატიანა მიხეილის ასულმა ხელი დაავლო თავის იაპონურ ძაღლს, რომელსაც არ იშორებდა და დემიდოვამ კი ბალიშებს.

როდესაც ყველა სარდაფში ჩავიდა, (სულ თერთმეტნი იყვნენ) კომისარმა იუროვსკიმ წაუკითხა ,,მანიფესტი'' სიკვდილით დასჯის განაჩენის შესახებ. მეფემ მოისმინა მანიფესტი და სთქვა: ,,თუ ჩემი სიცოცხლე საჭიროა შეეწიროს რუსეთს, მიირთვით იგი, მაგრამ შეიბრალეთ ოჯახი და უდანაშაულონიო'' მან ვერ დაამთავრა თავისი სიტყვები, ტყვიისმფრქვეველმა დაუცხრილა სხეული. დედოფალიც იქვე მოჰკლეს.

ორი ტყვია ნახეს სარდაფის კედელზე ადამიანის სიმაღლეზე. ეტყობა პირველ გასროლის შემდეგ სხვები ნახევრად მწოლარენი დაუხოციათ, რადგან დანარჩენი ტყვიები უფრო დაბლა აღმოჩნდა. დაკითხვიდან აღმოჩნდა, რომ დემიდოვი ბალიშით იგერიებდა მკვლელებს. იატაკის ერთ ადგილზე ხიშტი თვრამეტჯერაა ჩასობილი.

ირკვევა, რომ დაჭრილი ტატიანა მიხეილის ასულს გული წასვლია და ძირს დავარდნილა,—გამოღვიძებისას კი ხიშტებით მოუკლავთ. იაპონური ძაღლი თოფის კონდახითაა მოკლული.

მკვლელობას გადარჩა მხოლოდ ექიმი დერევენკო, რომელიც ამ დროს კერძო პრაქტიკაზე იყო წასული. დანარჩენი მოსამსახურენი ყველა დახოცეს.

მკვლელობის შემდეგ სარდაფს მოადგა ,,ფურგუნი'' და ცხედრები ისეტსკის ქარხანაში წაიღეს, მათ შორის ძაღლიც. ამ ქარხნიდან 8—14 ვერსტის მანძილზე ერთს მივარდნილ ტყეში დამარხეს მეფის ოჯახი. მემკვიდრის ძაღლი ესპანიელის ჯიშისა, არ გაჰყვა ბოროტმოქმედთ სარდაფში და სროლისგან დამფრთხალი გაიქცა. ეს ძაღლი დღესაც რ—ს ჰყავს.

ყველა ეს ცნობები მიღებულია მრავალ დაკითხვებისაგან, რომელიც მოახდინა დ—მ და ს.—მ. უფრო მეტი ცნობებიცაა, მაგრამ რ—მ ვერ შესძლო მოჰყოლა. სხვათაშორის დაკითხულია ხუთი ჯარისკაცი, რომლებმაც პირდაპირი მონაწილეობაა მიიღეს მკვლელობაში. ისინი შეიპყრეს სხვადასხვა დროსა და თუმცა ერთმა არ იცოდა მეორის ჩვენების შინაარსი, მაგრამ ყველა ჩვენება მაინც ერთ-მეორეს ჰგავდა შინაარსით. ორი თვის შემდეგ მკვლელობისა რ. იყო იპატიევის სახლში და ჭერზე სისხლი ვერ ნახა, მაგრამ იყო იმის ნიშნები, რომ ბოროტმოქმედი სისხლი ქვიშით გადაურეცხიათ.

დამსწრეთა თქმით სისხლი იდგა ერთი დიუმის სიმაღლეზე. გენ. დ—ს ბრძანებით ახსნეს ჭერი და ჭერქვეშ სისხლის წვეთები აღმოჩნდა. სისხლის ნიშნები ამოჭრილია და გენ. დ—სთან ინახება. ჭერქვეშ ნახეს აგრეთვე მეფის დღიური და სხვა დოკუმენტები.

ყველაფერი ეს აღმოჩნდა კოლჩაკის დროს.

ის ადგილი, სადაც ცხედარი წაასვენეს სრულებით შემთხვევით ნახეს. ფელში მცხოვრები გლეხი კო ჰგვიდა, როდესაც ფურგუნებმა გ რეს. გლეხს სიკვდილით დაემუქ და აუკრძალეს ტყეში სიარული. დღე იყო ტყე გარშემორტყმული. ოთხე დღეს წითელარმიელებმა მოხ ალყა. (სახლში დაბრუნებისას იუ ვსკის უთქვამს ,,მე დავიღალე''), შემდეგ გლეხი შეიპარა ტყეში და ბრილიანტები. ამავე სახლში ს რობდენ ოფიცრები, რომლებმაც ხეს სხვადასხვა ძვირფასეულობა, ,,ბროშკები'' დედოფლისა. ზოგი ნივთები პატარა მდინარეში გად რიათ. გენ. დ—სა და ს—ს ბრძან მდინარე ამოაშრეს, ქვიშა გას და აღმოაჩინეს ბოტკინის ყბა, დი, ძვლები, თითები დედოფლისა, მელიც ბეჭდებისათვის დაუჭრიათ. ყობათ ადამიანების გვამები დაუწ არ დაუწვიათ მხოლოდ იაპონ ძაღლი.

ქიმიურმა ანალიზმა ნიადაგ ქვეშ მოაჩინა ადამიანის ქონი და ბენ დაკითხვიდან სჩანს, რომ 6 ბოჩკა გირდის სიმქავე მოუტანიათ და მებს თურმე ბენზინით სწვავდნ რატომაა რომ ძვლები ასე ცოტა

ასეთია დაწვრილებითი ცნობებ ფის ოჯახის მკვლელობისა.

დოკუმენტების ასლი უფრო ლურად ინახება გენ. დ—სთან.

გამორკვეული იქმნა აგრეთვე თავადის სერგეი მიხეილის ძისა სი ამალის მკვლელობა.

სერგეი მიხეილის ძე, ელისაბედ დორეს ასული, იოანე, კონსტან იგორ კონსტანტინეს ძე, პატარა ლეი, და სერგო მიხეილის მის დინერი და სხვები ხრამში გად ცოცხლად და იქ ამ-ხოცეს. ბო მოქმედების ადგილსა და ამის შ ცნობებს ვერ მივიღებდით, რომ ერთი დამსწრე წითელარმიელი არ შეშლილიყო, რომელმაც წ გამოფხიზლებისას ყველაფერი სთ

იპატიევის სახლთან მდებარე დაარქვეს ,,ხალხის შურის ძიები ედანი''.

1920 წ. ივლისი
ლონდონი.

სტამბა ,,საქართველო'' დამფუძნებელი კრების ქ. № 5.